ნინო სიხუაშვილი

სოციალური მუშაკების ძირითადი გამოწვევები საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში

წარდგენილია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0178, საქართველო

2021წელი, თებერვალი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ვადასტურებ, რომ გავეცანი ნინო სიხუაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**სოციალური მუშაკების ძირითადი გამოწვევები საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

თარიღი: 22 თებერვალი, 2021წელი

Resume

In Georgia ratification of the convention on the rights of the child represents of child welfare reform which implemented in 1994 by Georgia. Development of the profession of social worker is connected with the child welfare reform and the process of deinstitutionalization.

In last years significantly expanded the area of social work activity, also numerous changes have been made in the field of child protection, which led to urgency of the research topic.

Social workers strike in 2019 represented a fact of historical significance, when people took the streets with requirement of decent working conditions and making the effective system of children protection. The part of the master thesis is devoted of analysis of these events.

Activation of "the law about social working" represents the most important mechanism of dealing with the challenges of social workers.

Research on the effectiveness of legislative measures activated by this time implemented within the master thesis, also expected results of changes to be made before 2025 has been discussed.

Master thesis consists of introduction, two chapters, subsections and conclusion. Introduction describes relevance of the topic, asked for scientific news and the problematic issue has been identified for which the master's thesis is dedicated. The first chapter of the thesis is about the development of social protection in Georgia. Also the problem of social working as a history of professional development has been discussed, their working conditions and main challenges. The second chapter of master thesis is about the social workers legal compliance analysis about protection from child abuse, also reviewed mechanisms for supervising the activities of social workers and legal regulations. At the end of the thesis there are some findings of the study given.

რეზიუმე

საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის საფუძველს ბავშვის უფლებების კონვენციის რატიფიცირება წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მიერ 1994 წელს განხორციელდა. სწორედ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს უკავშირდება, სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარება.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოციალური მუშაობის საქმიანობის არეალი, ასევე არაერთი ცვლილება განხორციელდა ბავშვთა დაცვის სფეროში, რამაც განაპირობა საკვლევი თემის აქტუალურობა.

ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა 2019 წელს სოციალურ მუშაკთა გაფიცვა, როდესაც ადამიანები ქუჩაში გამოვიდნენ, ღირსეული სამუშაო პირობების და ბავშვთა დაცვის ეფექტური სისტემის შექმნის მოთხოვნით. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანალიზს ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. სოციალურ მუშაკთა გამოწვევებთან გამკლავებისთვის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგეს „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის სრულად ამოქმედება. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ამ დრომდე ძალაში შესული საკანონმდებლო ღონისძიებების ეფექტურობის კვლევა განხორციელდა, ასევე განხილულია, 2025 წლამდე გასატარებელ ცვლილებათა მოსალოდნელი შედეგები.

ნაშრომი შედგება შესავლისგან ორი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისგან. შესავალში აღწერილია თემის აქტუალობა, დასმულია მეცნიერული სიახლე და გამოკვეთილია პრობლემური საკითხი, რომელის გადაჭრის გზების საპოვნელად არის მიძღვნილი სამაგისტრო ნაშრომი. ნაშრომის პირველი თავი შეეხება საქართველოში სოციალური დაცვის სფეროს განვითარებას. ასევე განხილულია სოციალური მუშობის, როგორც პროფესიის განვითარების ისტორია, მათი სამუშაო პირობები და ძირითადი გამოწვევები. სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს სოციალური მუშაკის სამართლებრივი შესალებლობის ანალიზს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის სფეროში, ასევე მიმოხილულია სოციალურ მუშაკთა საქმიანობის ზედამხედველობის მექანიზმები და სამართლებრივი რეგულაციები. ნაშრომის დასასრულს მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

შინაარსი

შესავალი.....6
ლიტერატურის მიმოხლვა.....8

თავი I. სოციალური დაცვის სფერო საქართველოში: არსებული პრობლემები და გამოწვევები

1.1 სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია.....10
1.2 სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები.....26
1.3 სოციალური მომსახურეები ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, არსებული პროგრამები და მათი რეალიზების პრაქტიკა.....38

თავი II. სოციალური მუშაკის სამართლებრივი შესაძლებლობები

2.1. სოციალური მუშაკის ფუნქცია და შესაძლებლობები ბავშვზე შესაძლო ძალადობის შემთხვევებში.....49
2.2. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა და სამართლებრივი რეგულაციები.....59
დასკვნა.....64
გამოყენებული ლიტერატურა.....66
დანართი

შესავალი

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ანსამბლეის 2014 წლის რეზოლუციაში, სოციალური მუშაობა განმარტებულია: - „სოციალური მუშაობა პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს და განვითარებას, ერთიანობას, ადამიანის გაძლიერებას და დამოუკიდებლობას. სოციალური მუშაობა ეფუძნება სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებს. სოციალური მუშაობის, სოციალური მეცნიერების თეორიული და ემპირიული ცოდნის საფუძველზე სოციალური მუშაობის პროცესში მონაწილეობენ ადამიანები და სტრუქტურები, რომლებიც ცდილობენ ცხოვრებისეული გამოწვევების გამკლავებას და კეთილდღეობის გაძლიერებას.“

შესაბამისად სოციალური მუშაკები ის ადამიანები არიან, რომლებიც წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს სახელმწიფოსა და ბენეფიციარს შორს, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროფესიას მსოფლიოში რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს, საქართველოში მისი საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა მხოლოდ 2018 წელს განხორციელდა, რომლის სრულად ამოქმედებაც 2025 წლის 1 იანვრამდე უნდა განხორციელდეს.

ქვეყანაში სოციალური მუშაკის საქმიანობის დანერგვა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმას უკავშირდება, რომელიც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესით დაიწყო. წლებთან ერთად ბავშვთა მიმართულების სოციალური დაცვის სფეროს ფოკუსი გაფართოვდა და მრავალი ხარვეზი იჩენს თავს, რაც გარკვეულწილად სოციალური კეთილდღეობის სისტემაში სოციალურ მუშაკთა ერთიან პროფილურ მიდგომაზე დაფუძნებული მუშაობით არის განპირობებული. აღნიშნული ფაქტი კრიტიკას იწვევს, როგორც პროფესიულ თემში, ასევე საუბარია არაერთ კვლევაში, რომელთა შესახებაც საუბარია მოცემულ ნაშრომში.

მეცნიერული სიახლე: წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს 2019 წელს სოციალური მუშაკების გაფიცვის შემდგომი მოვლენების ანალიზი, როდესაც აღნიშნული პროცესის შემდეგ, 2020 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფლებამონაცვლე გახდა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი სიახლეა ის, რომ ჩვენს მიერ, კომპლექსურად არის დამუშავებული პრობლემა, მათ შორის:

1. გამოკვლეულია სოციალური დაცვის სფეროში არსებული თანამედროვე რეალობა, არსებული პრობლემები და გამოწვევები;
2. ნაჩვენებია სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები;

3. განხილულია არსებული პროგრამებისა და მათი რეალიზების პრაქტიკის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები;
4. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ნაჩვენებია თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან დღეს სოციალური მუშაკები.

კვლევის აქტუალურობა: თემის აქტუალურობა მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს კანონმა „სოციალური მუშაობის შესახებ“, რომელიც სოცალური მუშაობის სამართლის, როგორც დისციპლინის განვითარების პირველი ნაბიჯია საქართველოში. აღნიშნული კანონი მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 13 ივნისიდან არის ძალაში, ჯერ ისევ გარდამავალ ეტაპზეა და სრულად არ ამოქმედებულა.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სოციალური დაცვის სფეროში მიმდინარე ცვლილებების ეფექტურობაზე, კონკრეტულად კი ბავშვთა მიმართ ძალადობისგან დასაცავად რა ღონისძიებებს ანხორციელებს მეურვეობის, მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც ერთი წელია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაქვემდებარებაშია.

წინამდებარე **კვლევის საგანს** წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების მთავარი გამოწვევების ანალიზი, რომელიც ხელს უშლის სპეციალისტს სათანადოდ აღასრულოს მანდატი და დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებულის სახელმწიფო ფონდის სოციალური მუშკები, რომლებიც ქვეყანაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციას ასრულებენ.

ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები, რეფორმის დაწყების დღიდან მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. **კვლევის მიზანს** წარმოდგენს იმის ანალიზი თუ 2019 წელს სოციალური მუშაკების გაფიცვის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები რამდენად ეფექტიანია. რა გამოწვევების წინაშე დგანან დღემდე სოციალური მუშაკები ბავშვის უფლებათა დაცვის აღსრულებისას.

ლიტერატურის მიმოხლვა

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობა ახალგაზრდა პროფესიაა იგი მრავალი რეფორმის შემადგენელი ნაწილია. სოციალური მუშაობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან საფეხურად შეიძლება დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი ჩაითვალოს და ამ პროცესში სოციალური მუშაკის როლი.[1] სოციალური მუშაობის საქმიანობის სფეროს განვითარება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში და დადგენილებებშია ასახული, სადაც ეტაპობრივად ფორმირდებოდა და იზრდებოდა სოციალური მუშაკის როლი. ასევე სოციალური მუშაობის აკადემიური ცოდნის განვითრების პარალელურად არაერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა, სადაც მოცემულია სფეროში ამჟამად არსებული კრიზისი და ხარვეზები. ქვემოთ წარმოდგენილია იმ კვლევების და ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც ჩვენს მიერ არის მოძიებული და შესწავლილი.

საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრავს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებს.

ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი- „სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემელი, „ფრიდრიხ ებერტის ფონდი“, თბილისის 2018 წელი, სახელმძღვანელო შექმნილია სოციალური მუშაკებისთვის რომლებიც მუშაობენ მიკრო დონეზე და უშუალოდ ზრუნავენ ადამიანთა კეთილდღეობაზე. ასევე, აღნიშნული სახელმძღვანელო შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, სამეცნიერო კუთხით დაინახონ სოციალური მუშაობის სამართლის ძირითადი მიმართულებები.

ს.ნამიჭეიშვილი, მ.მგელიაშვლი- „სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები“ სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, 2010 წელი, თბილისი- ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროექტის ფარგლებში შემუშავდა აღნიშნული სახელმძღვანელო და განკუთვნილია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში დასაქმებული სოციალური მუშაკებისთვის. სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაკებისთვის აუცილებელი ცოდნის და უნარ-ჩვევების გაცნობა, ასევე იგი დამხმარე სახელმძღვანელოა პროფესიონალებისთვის ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის პროცესში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთი კვლევა ჩატარდა ქვეყანაში ბავშვთა დაცვის ეფექტურობის და ამ პროცესში სოციალური მუშაკის როლის საკვლევად, რომელთა ანალიზიც მოცემულია წინამდებარე ნაშრომში. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობის შესახებ, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და

[1] სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, საქართველოს სოცალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017 წელი გვ. 7.

მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევების შესახებ, ნათლად ასახავს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგანან სოციალური მუშკები ბავშვთა უფლებების დაცვისას.

მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა სოციალურ მუშაკთა ასოციაციისს, სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, რომელიც 2011 წელს შეიქმნა და დღემდე აქტუალურია. ასევე, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის 2020 წლის, სამუშაო ვერსია- სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, წარმოადგენს უახლეს საინტერესო წყაროს, რომელშიც მოცემულია სსიპ ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებულის სააგენტოში უკანასკნელ წელს მიმდინარე მოვლენების ანალიზი და რეკომენდაციები.

თავი 1. სოციალური დაცვის სფერო საქართველოში, არსებული პრობლემები და გამოწვევები

1.1. სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია საქართველოში

ბავშვთა უფლებების განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე, როგორც სოციალურ-ეკონომიური, ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით განხორციელებულმა არაერთმა ისტორიულმა მოვლენამ. მეოცე საუკუნიდან გაიზარდა ყურადღება ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით, რომლის ლოგიკური გაგრძელებაც იყო 1989 წლის 20 ნომებერს ბავშვთა უფლებების სფეროში, პირველი საერთაშორისო აქტის- ბავშვთა უფლებების კონვენციის მიღება.[2]

საქართველო ბავშვთა უფლებების კონვენციის ხელმომწერი ქვეყანაა 1994 წლიდან, რითაც საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო დონეზე ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას.[3] აღნიშნულის ფარგლებში განისაზღვრა ბავშვთა ის მოწყვლადი კატეგორია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებდა განსაკუთრებულ მხარდაჭერას.

ვინაიდან რეზიდენტული ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებები ვერ ურუნველყოფდა ბავშვის ძირითად უფლებებს, რაც გულისხმობს სრულფასოვანი განვითარებისთვის ბავშვის ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდას,[4] საქართველოს პარლამენტის მიერ „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ და „შვილად აყვანის შესახებ“ მიღებულ იქნა კანონები.

საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდის, საქართველოს განათლების მეცნიერების სამინისტროსა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიაცია „ECT”(ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ევრიჩაილდი“)

---

[2]კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ https://www.matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0 (24/11/2020)

[3]ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/ბავშვის-უფლებათა-კონვენცია (24/11/2020)

[4]გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი(OHCHR) ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/8ConventionontheRightsoftheChild(1989).aspx (28/11/2020)

თანამშრომლობით 1999 წელს ამოქმედდა ბავშისა და ოჯახის დახმარების პირველი პროექტი.

ქვეყანაში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პირველი ტალღა სამ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს, კერძოდ 1999-2004 წწ. 2004-2008 წწ. 2008-2011 წწ.[5]

პირველ ეტაპზე ამოქმედდა „ოჯახის დახმარებისა და შვილობილობის პროექტი“, რამაც საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს. კერძოდ, ხორციელდებოდა ბავშვთა სახლებში ახალი კონტიგენტის შედინებაზე კონტროლი, რაც გულისხმობდა პრევენციული ღონისძებების შეთავაზებით ოჯახის გაძლიერებას, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანი საფეხური იყო რეინტეგრაცია, ბავშვთა სახლებიდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დარუნება.[6] შვილობილობა(ამჟამად, მინდობითი აღზრდა)- სახელმწიფო ზრუნვის პირველი ალტერნატიული ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მიმსგავსებულ პირობებში აღზრდასა და განვითარებას.[7]

2005 წლის 21 აპრილის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ბავშვთა კეთილდღეობის 2005-2007 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი ფოკუსი ქვეყნის მასშტაბით, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაძლიერება და გაფართოვება, ასევე ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურებების განვითარება გახლდათ.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, 2009 წლის 1 იანვრიდან ბავშვთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელობა საქართველოს

---

[5] მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე, საქართველოს მთავრობა (ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf (24/11/2020)

[6] „ობოლდ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა“ ,თბილისი,2007წელი, ხელმისაწვდომია: http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1193232810_programa%2032.07.05.pdf (28/11/2020წ)

[7] საქართველოს კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“1999წელი, (ძალის დაკარგვის თარიღი 27/12/2007)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებიდან, გადავიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ხოლო ადგილობრივ დონეზე-საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებიდან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მის რაიონულ ცენტრებზე.[8]

ბავშვთა კეთილდღეობის სფერო ინტეგრირდა სოციალური კეთილდღეობის საერთო სისტემაში, რამაც უფრო მოქნილი გახადა მენეჯმენტი და ხელი შეუწყო ამ სფეროში მომდევნო რეფორმების განხორციელებას.[9]

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით ყოველწლიურად მტკიცდება „ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეპროგრამას. ქვეპროგრამები და მათზე გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებები განსაზღვრავენ და რეალიზებენ ბავშვზე ზრუნვის სფეროში არსებულ პრიორიტეტებს.[10]

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ქვეყნის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან. გარდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურების მიწოდებისა, ზოგადად ბავშვიანი ოჯახებისთვის პოზიტიური ფსიქო-სოციალური განვითარების შესაძლებლობის მიცემა გახადა ქვეყნის პრიორიტეტი.[11]

---

[8] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ ხელმისაწვდომია:http://tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/498963503135.pdf (28/11/2020წ)

[9]მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე, საქართველოს მთავრობა . ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf 39-ე. (2/12/2020)

[10] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N118/ნ, 2009წლის 23 მარტი, ქ.თბილისი

[11] ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1002 (3/12/2020)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2014 წელი გამოაცხადა ბავშვთა უფლებების დაცვის წლად.[12]

მიუხედავად იმისა რომ ბავშვთა მიმართულების სოციალური დაცვის სფეროს ფოკუსი გაფართოვდა, თავს იჩენს მრავალი ხარვეზი, რომელზეც საუბარია არაერთ კვლევაში. როგორიცაა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასების კვლევის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი-ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობის შესახებ და სხვა.

ერთ-ერთი ყურადსაღები საკითხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები, რადგან ისინი დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიღმა დარჩნენ. აღნიშნულმა ფაქტმა ხელი შეუშალა ბავშვების სოციალური რეაბილიტაციის პროცესს. როდესაც სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი 18 წლის ხდება, მისი განთავსება ხორციელდება სათემო ორგანიზაციებში. თუმცა, ვინაიდან ხშირად აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან სათანადოდ მომზადებულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანზიციული პერიოდის ხელშეწყობის მიქანიზმი არ არსებობს, იზრდება შშმ პირთა ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის დამძიმების რისკი.[13]

არასამთავრობო ორგანიზაცის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად საქართველოში ფუნქციონირებდა სახელმწიფო რეგულირების მიღმა არსებული 36 დიდი ზომის სადღეღამისო დაწესებულება, სადაც 1146

[12] საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/parlamentis-adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komitetma-2014-weli-bavshvta-uflebebis-dacvis-wlad-gamoacxada.page (3/12/2020)

[13] ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში 2014 წელი გვ. 60-61.

ბავშვი ცხოვრობდა, რაც ბავშვზე ზრუნვის ჩრდილოვან სისტემას წარმოადგენდა.[14]

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის 2014 წლის კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბავშვთა დაცვის სისტემის ყველაზე სუსტ რგოლს პოლიცია წარმოადგენს, რომელიც ძალადობისგან დაცვის მთავარი მექანიზმია, როგორც ოჯახში, ასევე სოციუმში. იკვეთებოდა სპეციალიზებული კადრების დეფიციტი. ასევე ხაზგასმულია სკოლის პრესონალის მზაობის და ცოდნის დაბალი დონე ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიმართულებით.[15]

ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კუთხით ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოციალურ მუშაკთა გადამზადება, ოჯახში ძალადობის მიმართულებით და მათი რაოდენობის ზრდა. სპეციალიზაცია კონკრეტულ სფეროში ხელს შეუწყობს პროფესიონალიზმის გაზრდას და ეფექტიან მუშაობას.[16]

საქართველოში სოციალური მუშაკის პროფესიის დანერგვა, თავდაპირველად განთლების და მეცნიერების სამინისტროს ქვეშ განხორციელდა, რაც ბავშვებისა და ოჯახების დახმარების პირველი პროექტის ამოქმედებას უკავშირდება.

1999 წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეირჩა და გადამზადდა სოციალურ მუშაკთა პირველი ნაკადი, რომელიც 18 ადამიანს აერთიანებდა. „ოჯახის დახმარებისა და შვილობილობის პროექტი“ სამ საპილოტე ქალაქში: თბილისში, რუსთავსა და თელავში ამოქმედდა, რითიც საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ამოქმედებას. [17]

---

[14] ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი „ბავშვის ხმა რომელიც სახელმწიფომდე არ აღწევს-ბავშვზე ზრუნვის ჩრდილოვანი სისტემა საქართველოში“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ თბილისი, 2016 წელის

[15] ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში 2014 წელი გვ. 63.

[16] იქვე: გვ. 63.

[17] სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ. 5. ხელმისაწვდომია:

საკანონმდებლო დონეზე „სოციალური მუშაკი“ კონცეფცია და სოციალური სამუშაოს მოცემულობა, რომელსაც არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დარგში ასრულებენ, პირველად „ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ კანონში განიმარტა.[18]

აღნიშნული კანონის მიხედვით სოციალური მუშაკის საქმიანობა გულისხმობდა მიმღები მშობლობის მსურველი ოჯახების შეფასება-კონსულტირებას, სათანადო დასკვნის წარმოებას და საბჭოსადმი წარდგენას. გარდა ამისა სოციალურ მუშაკის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა ბავშვთა უფლებების დაცვა, მათი მხარდაჭერა და დედობილ-მამობილის მიერ ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ზედამხედველობა. ასევე სოციალური მუშაკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა, როგორც პრევენციის მიმართულებით მუშაობა, ასევე ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია.

ბავშვთა კეთლდღეობის სფეროში სოციალური მუშაკის პროფესიის დანერგვის პარალელურად, სოციალური სამსახური შეიქმნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა სასჯელაღსრულების დაწესებულების სოციალური მუშაკების, სარეაბილიტაციო ცენტრების და მსჯავრდებულთა განათლებისა და პროფესიული მომზადების სამსახურის ეფექტური მუშაობის კონტროლი.[19]

სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე სოციალურ მუშაკს განსხვავებული სტატუსი გააჩნდა, აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმეულ

---

https://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW_Situational_Analysis_Report_Georgia_GASW_GEO_29_11_2011_F.pdf (5/12/2020)

[18]საქართველოს კანონი „ობოლ და მშობლეთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ 1999წელი, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 (5/12/2020)

[19] “სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999წლის N371 ბრძანება , მუხლი14.(ძალადაკარგულია 14/11/2000) ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1343955?publication=0 (7/12/2020)

ხალხს ენიჭებოდათ სპეციალური წოდებები,[20] რაც პირდაპირ მიანიშნებდა, რომ სოციალური მუშაკი წარმოადგენდა პენიტენციური სამსახურის ნაწილს და მას ნაკლები შეხება ჰქონდა სოციალურ სამსახურთან. დღეისათვის პენიტენციური სამსახურის, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტრამენტში დასაქმებული სოციალური მუშაკები, მუშაობენ პენიტენციურ დაწესებულებებში, რითიც განხორციელდა სოციალურ მუშაკთა გათავისუფლება „სისტემის“ გავლენისგან.[21] პენიტენციურ დაწესებულებაში შემთხვევის მართვის მეთოდით მიმდინარეობს მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, რომელსაც სოციალური მუშაკები ახორციელებენ.[22]

საქართველოს კანონში „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ სოციალურ მუშაკი თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულების და ასევე პრობაციონერი პირებისთვის მოიხსენიებოდა, როგორც სერვისის მიმწოდებელი. სოციალური მუშაკი ატარებდა კორექციულ და საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებებს და ხელს უწყობდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას.[23] აღნიშნული საკანონმდებლო აქტში პირველად მოხდა იმის ხაზგასმა, რომ სოციალური მუშაკი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონდე პირი და განისაზღვრა სავარაუდო პროფილი. სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკი უნდა ყოფილიყო უმაღლესი სამედიცინო,

---

[20] "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური წოდებების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის N66 ბრძანება(ძალადაკარგულია08/04/2004)

[21] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის N418 ბრაძანება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“

[22] სპეციალური პენიტენციური სამსახური. ხელმისაწვდომია: http://www.sps.gov.ge/ka/saqmianoba/resocializacia-reabilitacia.html (07/01/2021)

[23] „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის კანონის მე-17 მუხლი (ძალადაკარგულია 2007 წლის 17 ივნისიდან).

ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური ან პედაგოგიური განათლების მქონე პირი.[24]

საქართველოს განათლების მინისტრის 2000 წლის ბრძანებით, რითიც ფუძნდებოდა მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „მომავლის სახლი“, სოციალური მუშაკის პროფესია სამედიცინო პერსონალის ნაწილად იყო მოხსენიებული, რომელთაც ეკისრებოდათ სამკურნალო-პროფილაქტიკური დიაგნოსტიკური ღონისძიებების გატარება, სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვა, სურსათის ხარისხის შემოწმება და სამედიცინო ბლანკის მოწესრიგება.[25]

სოციალური მუშაობის ახალი განსაზღვრება გამოყენებულ იქნა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის პირველი რედაქციის მიერ. აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით, სოციალური მუშაკი უნდა ყოფილიყო სერტიფიცირებული მეურვეობა-მზრუნველობის სპეციალური უფლებამოსილი პირი, რომელიც ანხორციელებს შეფასებას და გამოაქვს დასკვნა, მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნის სტატუსის დადგენის, მინდობითი აღზრდის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გათვალისწინებით მზრუნველობამოკლებულ არასრულწლოვნებზე ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი მზრუნველობისა და მზრუნვამოკლებულ სრულწლოვან პირებზე მზრუნველობის სახეების გამოყენების თაობაზე, ასევე მშობლის უფლების შეზღუდვაზე, ან ჩამორთმევაზე, ან ამ უფლებების ჩამორთმევის გარეშე არასრულწლოვნის სახელმწიფო მზრუნველობაში გადასვლის თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონი სახელმწიფოს რეგულირებას უქვემდებარებდა სოციალური მუშაკის საქმიანობას.[26] სერტიფიცირებას ექვემდებარებოდენ ის პირები, რომელთაც გავლილი ჰქონდათ აკრედიტირებული უმაღლესი

[24] იქვე.

[25] „მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „მომავლის სახლის” დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 2000 წლის 26 ივნისის №430 ბრძანება (ძალადაკარგულია 2008 წლის 07 აპრილიდან).

[26]საქართველოს კანონი “სოციალური დახმარების შესახებ“ N4289 2006 წლის 29 დეკემბერი,

საგანმანათლებლო პროგრამა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება.

სოციალური სამუშაო პროფესია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონში განხორციელებული ცვლილებით, აღიარებულ იქნა რეგულირებად პროფესიად, თუმცა ვინდაიან საქართველოში პროფესია განვითარების ახალ ეტაპზე იმყოფებოდა 2009 წლის ცვლილების საფუძველზე სოციალური მუშაობა რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალიდან იქნა ამოღებული, იმ მოტივით, რომ რეგულირებას შესაძლოა დაებრკოლებინა პროფესიის განვითარება.[27]

საქართველოში სოციალური მუშობის განათლების დანერგვა 2006 წელს სოციალურ მუშაკთა აკადემიზაციის პროცესით დაიწყო, რომელიც ევროკავშირის და ღია საზოგადოება საქართველოს უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პროგრამით განხორციელდა.[28] ამავე წელს გაიხსნა ბაკალავრიატის საფეხური სოციალურ მუშაობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ილიას სახელობის უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხური. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ხორციელდება, როგორც ბაკალავრიატის, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სოციალურ მუშაობაში.[29]

სახელმწიფო და ინსტიტუციურ დონეზე სოციალური მუშაკების სხვადასხვა მიმართულებით მასშტაბური გაფართოება და განვითარება ძირითადად 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც საერთაშორისო დონორების

[27] საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatlebis.pdf (12/12/2020)

[28] „სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი“ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ.6.

[29] თბილისის ი.ჯავახიშვლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელმისაწვდომია:https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/socmushaoba%20%20PhD.%202019.pdf (07/01/2021),

ხელშეწყობით საქართველოს მთავრობა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას შეუდგა.[30]

აღნიშნულ პროცესს წინ უძღვოდა 2006 წელს საქართველოს კანონი „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომლებმაც განაპირობეს სოციალური მუშაკის ფუნქციის ზრდის აუცილებლობა.

ქვეყანაში 2006 წელს შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სადაც ხორციელდებოდა ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლებთან სოციალური მუშაობა.[31]

სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობა და ფუნქცია-მოვალეობა განსაკუთრებით გაიზარდა 2010 წელს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შემდგომ.[32] თუმცა გარდა ბავშვზე ზრუნვისა, სოციალურ მუშაკებს ევალებოდათ სრულწლოვან პირთა მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, ოჯახურ დავებთან, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულ ბენეფიციართა ინდენტფიცირებასთან და საჭირობების შეფასებასთან დაკავშირებული რიგი ღონისძიებების გატარება.[33]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის როლი, რომელიც ქვეყანაში 2004 წელს დაარსდა და მათ მთავარ მიზანს

---

[30] სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ.5

[31]საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ N2944 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152 (12/12/2020)

[32]ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი 2013 წელი. გვ.7 https://www.unicef.org/georgia/media/2066/file/ბავშვთა%20მიმართ%20ძალადობა%20საქართველოში.pdf (12/12/2020)

[33] სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ5-6.

წარმოადგენს ეფექტიანი მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის ადვოკატირება.[34]

სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2010 წელს განახორციელა პროექტი ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის მხარდასაჭერად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა აღნიშნული ახალგაზრდების განათლების სისტემაში ინტეგრაცია და სოციალური მუშაკებისთვის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან ეფექტური მუშაობის სპეციფიკის შემუშავება. ამ პროექტის შემდგომ მომზადდა მოდული სოციალური მუშობა ეთნიკურ უმცირესობებთან, რომელიც დღემდე ისწავლება უნივერსიტეტში.

სოციალური მუშაობა ვითარდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროშიც, ფსიქიკური და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებში დასაქმებულები არიან სოციალური მუშაკები. ასევე მავნე ნივთიერებაზე დამოკიდებულის პრობლემის აქტუალობამ განაპირობა სოციალური მუშაკის პროფესიის ამ მიმართულებით განვითარებაც.[35]

სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარებას უკავშირდება მართლმსაჯულების სფეროს წარმატებული რეფორმა, რითიც მეტად ჰუმანური გახდა სისტემა.[36]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, სოციალური მუშაკი საკანონმდებლო დონეზე წარმოადგენდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირს. იგი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის, დიალოგის პროცესში მონაწილე პირია. სოციალურ მუშაკს დაევალა

[34]სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=675 (12/12/2020)

[35] სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ8.

[36] სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, საქართველოს სოცალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017 წელი გვ.6-7.

განრიდება და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის ფუნქციები.[37]

მნიშვნელოვანია რომ 2016 წელს საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა, არასრულწლოვნის განცალკევების პროცესში, სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციებით. კერძოდ, სანქციის სახით გათვალისწინებულია შვიდ დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა, ან ერთ თვემდე ვადით გამოსასწორებელი სამუშაოები. ხოლო იგივე ქმედების სახდელშეფარდებული პირის მიერ ჩადენისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, საზოგადოებისაათვის სასარგებლო შრომა ან ჯარიმა დაადგინა.[38]

სოციალური მუშაობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება ჩითვალოს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და ამ პროცესში სოციალური მუშაკის როლი.[39]

საქართველოს კანონმა „სოციალური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრა სოციალურ მუშაკთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განსაზღვრა უფლება-მოვალეობები. 2018 წლის 13 ივნისამდე არ არსებობდა ქვეყანაში ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რაც აისახებოდა, როგორც მომსახურების ხარისხზე. უფლებამოსილი ორგანოები კანონქვემდებარე აქტებით სხვადასხვაგვარად არეგულირებდნენ სოციალური მუშაკის საქმიანობის მანდატს, რაც ვერ უზრუნველყოფდა სოციალური მუშაკის საქმიანობის განჭვრეტადობას და სისტემის დიფუზირება ვერ ახდენდა მაღალი სტანდარტის სოციალური მუშაკის პრაქტიკის დანერგვას.[40]

---

[37] ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/მართლმსაჯულება-ბავშვებისთვის (12/12/2020)

[38] სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი გვ. 37.

[39] სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია,საქართველოს სოცალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017 წელი გვ. 7.

[40] სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი გვ. 38.

პირველ რიგში, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი ადგენს სოციალური მუშაობის განმსაზღვრელი პრინციპების ჩამონათვალს, რომელიც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ყველა სოციალური მუშაკისთვის. აღნიშნული პრინციპები გულისხმობს: ადამიანის უფლებების დაცვას, პატივისცემას და მათ განხორციელებაში მხარდაჭერას; სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისთვის მუშაობას, სოციალური სამართლიანობის მიღწევას; დისკრიმინაციის დაუშვებლობას და თანასწორობას; დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით მუშაობას; ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების პროპორციული, გამოსადეგი და აუცილებელი ღონისძიებებით; თანაზომიერებას; ბენეფიციარის იდნივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ადეკვატურ მხარაჭერას; სისტემურად-მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე საქმიანობას; პროფესიული ეთიკის დაცვას, კეთილსინდისიერების გამოვლენასა და პროფესიული ეთიკის დაცვას, რომელიც გულისხმობს ინდივიდის ღირსების პატივისცემის პრინციპზე დამყარებულ ურთიერთობას, ბენეფიციარის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებების და მისი თვითგამორკვევის აღიარებას, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის აღიარებას, კონფიცენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ძირითადი პრინციპების გარდა ვალდებულებები ასევე მოიაზრებს ბენეფიციარის ინფორმირებულობას მომსახურების შესახებ, მისგან თანხმობის მიღებას(გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა), კონფიდენციალობის უზრუნველყოფას, დოკუმენტაციის წარმოებას და მრავალმხრივ, დისციპლინათშორის თანამშრომლობას, მიუკერძოებლობას, პრევენციულ საქმიანობას, პრობლემის განსაზღვრას, შეფასებას და სათანადო რეაგირების გეგმის შემუშავებას, ამასთან სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მხარდაჭერას და საჭიროების შემთხვევაში გადამისამართებას. ასევე კანონი ავალდებულებს სოციალურ მუშაკს

მიიღოს მონაწილეობა შეთავაზებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში, რათა გაიუმჯობესონ ცოდნა და უნარები.[41]

აღნიშნულ კანონში ასევე ჩამოთვლილია სოციალური მუშაკის უნივერსალური ფუნქციები: ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, მის კეთილდრეობაზე ზრუნვა, კონსულტირება, ადვოკატირება, კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ბენეფიციარის პროცესში ჩართულობა, სოციალურ საკითხებზე მუშაობა, სოციალური კეთილდღების სფეროში ასებული პრობლემების გავლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება, სასიკეთო ცვლილებების ინიცირება და განხორციელება, სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა, საკუთარი პროფესიული საქმიანობის თვითშეფასება და ზედამხედველობის პროცესში ჩართულობა.

გარდა ჩამოთვლილი ზოგადი ფუნქციებისა, ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს დამატებით 16 უფრო კონკრეტულ ფუნქციას აკისრებს, რომელიც შესაძლოა სამ მიმართულებადაც დაიყოს, რომლებიც რეგულირებდა ნორმატიული აქტებით.[42]

ბავშვთა დაცვა და ოჯახთან მუშაობისას სოციალური მუშაკის ფუნქციები:

1. ბავშვის შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობა;
2. ბავშვის 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში განთავსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი;
3. ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და მათი მონიტორინგი;

[41] საქართველოს კანონის "სოციალური მუშაობის შესახებ"
[42] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ" 2018 წლის 13 ივნისი, მუხლი 15-16.

4. ოჯახის მხარდაჭერა, პრევენცია, პირის სპეციალიზებული დაწესებულებიდან რეინტეგრაცია და მისი მდგომარეობის მონიტორინგი, 24 საათიანი ზრუნვის სისტემასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

5. ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვის მიზნით ზომების მიღება;

6. ბავშვის ძალადობისგან, პირის ოჯახში ძალადობისგან და ქალთა ძალადობისგან დაცვის მიზნით ზომების მიღება, მათ რეაბილიტაციაზე ზრუნვა, საზოგადოებაში ინტეგრაცია და მონიტროინგი;

7. მიუსაფარი ბავშვებისა და მისი ოჯახის საჭიროებების განსაზღვრა;

8. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სოციალური მუშაკის ფუნქციები:

9. ბავშვის მხარდაჭერა, მისი საუკეთესო ინტერესების დაცვა, მეურვეობა, მზრუნველობა და საპროცესო წარმომადგენლობა;

10. ოჯახური დავები ან მშობლის უფლების შეზღუდვის/ჩამორთმევის დროს სასამართლო პროცესში მონაწილეობა არასრულწლოვანთა

კანონიერი ინტერესების დაცვის და სათანადო დასკვნის გაცემის მიზნით;

11. მეურვეობა/მზრუნველობის დაწესების, მხარდაჭერის დანიშვნის პროცესში მონაწილეობა, მეურვეობის/მზრუნველობის/მზარდაჭერის საქმიანობის ზედამხედველობა, სამეურვეო/სამზრუნველო პირის ქონებრივი უფლების განკარგვის საკითხზე რეკომენდაციის გაცემა;

სოციალური მუშაკის ფუნქციები მომსახურებებში ჩარიცხვისას:

12. ხანდაზმულისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დღის ცენტრისა და გრძელვადიანი შეფასების, შესაბამისი სოციალური, შეღავათიანი, სამედიცინო მომსახურების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;

13. სამეურვეო/სამზრუნველო და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური და სამედიცინო მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათი შესაბამისი დღის ცენტრსა და თავშესაფარში გადამისამართების ხელშეწყობა;

14. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, ძალადობის მსხვერპლთა, მათ შორის ბავშვების, სათანადო მომსახურებაში ჩართვის ხელშეწყობა;

15. დედებისა და ბავშვებისთვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევა;

16. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევა.[43]

საქართველოში სოციალური მუშაობის ისტორიის განვითარების მინიშვნელოვანი ნაწილია სოციალურ მუშაკთა გაერთიანების დაფუძნება, რომელიც 2019 წლის 8 აპრილს განხორციელდა 61 სოციალური მუშაკის მიერ. აღნიშნული მოვლენის ერთგვარ ბიძგს წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა კოლექტიური დავა და გაფიცვა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. აღნიშნული გაერთიანება ახორციელებს სოციალურ მუშაკთა შრომითი უფლებების ადვოკატირებას. ასევე მონიტორინგს უწევს საქართველოს კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ“ სამოქმედო გეგმის შესრულებას.[44]

1.2. სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის დაწყებიდან 20 წელზე მეტი გავიდა, საქართველოსა და დამოუკიდებელ თანამეგობრობის რეგიონების სხვა ქვეყნებში დაინერგა და განვითარდა სოციალური მუშაკის პროფესია. თუმცა უნდა ითქვას, რომ სფერო დღემდე განიცდის, როგორც პროფესიული ფუნქციების, ასევე უნარების მწვავე ნაკლებობას.[45]

სოციალური მომსახურების სააგენტო 2009 წლიდან, ქვეყნის მასშტაბით მუშაობს სოციალური რისკების მქონე მოქალაქეების, ოჯახების და სხვადასხვა თემის წარმომადგენელი ადამიანების სოციალური ფუნქციონირების ხელშეწყობისა და გაზრდის მიზნით. სოციალურ

[43] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ N2519- IIს 2018 წლის 13 ივნისი
[44]სოციალურ მუშაკთა გაერთიანება-დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი ხელმისაწვდომია: https://www.swunion.ge/?page_id=8 (13/12/2020)
[45] N.Partskhaladze, Child Protection Social Work Workforce in Georgia and Countries of CEE/CIS Region, Journal of Young Researchers, No. 5, July, 2017 ხელმისაწვდომია: http://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/04–ნათია%20ფარცხალაძე.pdf (13/12/2020)

მუშაკებს ევალებათ მრავალი მიმართულებით მუშაობა, როგორიცაა ბავშვზე ზრუნვა, მეურვეობა-მზრუნველობა, მხარდაჭერა და ა.შ.[46]

საქართველოში ფართოპროფილურ მიდგომაზე დაფუძნებული საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ სოციალური მუშაკები, სოციალური კეთილდღეობის სისტემაში, მწვავე შეფასებას იმსახურებს პროფესიულ საზოგადოებაში და უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევები მსჯელობის საკითხად იქცა, სოციალური მუშაკების არაეფექტურობაზე.[47]

სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკის შრომითი პირობები კარგად არის წარმოჩენილი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2017 წლის კვლევაში. აღნიშნულ კვლევაში იმ ძირითად პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული, რის წინაშეც წლების განმავლობაში დგანან პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები.[48]

ესენია:

- გადატვირთული სამუშაო გრაფიკი;
- არასათანადო თანამდებობრივი სარგო და ზეგანაკვეთური აუნაზღაურებელი შრომა;
- არასათანადო ინფრასტრუქტურა;
- უწყვეტი პროფესიული განათლების დეფიციტი;
- ფიზიკური უსაფრთხოების პრობლემა.

სოციალური მუშაკებისთვის განსაკუთრებით კრიტიკულია, სამუშაოს დიდი მოცულობის საკითხი. ვინაიდან აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლები განსხვავებული შინაარსის ოცზე მეტი მიმართულებით

[46] სოციალური მუშაობის და სოციალური ადვოკატირება- სოციალური მუშაკები ადამიანის სოციალური უფლებების დასაცავად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011 წელი, გვ6-7

[47] საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდათა კოალიცია (2020), ბავშვთა უფლებები საქართველოში: საანგარიშო ბარათი 2019.

[48] სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები-EMC,2017 წელი.

მუშაობენ.[49] რაც გულისხმობს როგორც საველე სამუშაოს წარმოების გზით სამიზნე ჯგუფების საჭიროებების გამოვლენას და მათთვის სათანადო სოციალური მხარდაჭერის სერვისის მიწოდებას. ამასთანავე, პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირებას და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას და ადვოკატირების მექანიზმების გამოყენებას. რაც დამატებით ტექნიკურ და ბიუროკრატიული საქმიანობის განხორიცელებას გულისხმობს.[50]

ასევე სოციალურ მუშაკთა სამუშაო რეჟიმის დატვირთულობას ართულებს ის, რომ სამუშაო პროცესში ვერ ხორციელდება საქმის სირთულის და მოცულების გათვალისწინება. რაც გარკვეულწილად განპირობებულია კადრების მცირე რაოდენობით. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ერთი სოციალური მუშაკი მუშაობს.[51]

2017 წლისთვის ქვეყანაში 800 სოციალური მუშაკი იყო დასაქმებული, საიდანაც 300 დასაქმებული იყო არასამთავრობო სექტორის მიერ, 500-სახელმწიფო სექტორის მიერ. ბავშვთა დაცვის სფეროში კი 268 სოციალური მუშაკი მუშაობდა.

საერთაშორისო ნორმით საუკეთესო შემთხვევაში 5 ათას მოსახლეზე ერთი სოციალური მუშაკი უნდა მუშაობდეს, საქართველოში საქსტატის მონაცემებით კი ერთ სოციალურ მუშაკზე 15 557 მოსახლე მოდის. ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე ერთ სოციალური მუშაკს საშუალოდ უწევს 100-დან 120 შემთხვევასთან მუშაობა.[52]

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმაციით 2020 წელს

---

[49] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 მარტის N04/14006 კორესპონდენცია, სოციალური მუშაკის სამუშაოს აღწერილობა, დანართი N3

[50] სოციალური მუშაობის და სოციალური ადვოკატობა - სოციალური მუშაკები ადამიანის სოციალური უფლებების დასაცავად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011 წელი, გვ.6-7

[51] სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები-EMC,2017 წელი. 6-7გვ.

[52] სოციოლოგიური კვლევა, სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსები, დემოკრატიის განვითარების სააგენტო, 2017 წელი, 14გვ,16გვ. ხელმისაწვდომია: https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf (15/12/2020)

თბილისში 4829 შემთხვევა აღირიცხა, მათგან აქტიური შემთხვევა შეადგენდა-859, საიდანაც 84% არასრულწლოვანთა ქეისებს წარმოადგენდა. მიმდინარე შემთხვევები - 3726, საიდანაც 58% მოდის არასრულწლოვნებზე, ხოლო სხვა შემთხვევების 71% არასრულწლოვანთა ქეისებია, მაგალითად როგორიცაა საპროცესო წარმომადგენლობა. ვინაიდან აქტიური შემთხვევები განსაკუთრებულ ოპერატიულობას მოითხოვს, მაქსიმუმ ასეთ 10 ქეისზე მუშაობაა რეკომენდირებულია. თბილისში კი 2020 წელს 67 სოციალური მუშაკი იყო დასაქმებული.[53]

სოციალურ მუშაკთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, მრავალ ქეისზე ერთდროულად მუშაობასთან ერთად, მათ არასამუშაო დროს უწევთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროფესიული გადაწვის საფრთხეს.[54]

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში არ ხორციელდებოდა სოციალურ მუშაკთა ზეგანაკვეთური შრომის აღრიცხვაც კი. განსაკუთრებით სენსიტიურია ეს საკითხი იმ ფონზე, რომ სახელმწიფო სხვა უწყებებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს გაცილებით მცირე მოცულების სამუშაო დატვირთვის ფონზე იგივე ან მეტი ანაზღაურება აქვთ.[55]

არასათანადო ინფრასტრუქტურა ის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია სოციალური სამუშაოს შესრულებისას, რაც განსაკუთრებით პრობლემატურია დედაქალაქის შემთხვევაში. ხშირად სოციალურ მუშაკებს არ აქვთ ბენეფიციართან კონფიდენციური საუბრისთვის იზოლირებული სივრცე. ცალკე საკითხია სამუშაო ადგილზე შესაბამისი საოფისე ტექნიკის და ინვენტარის უქონლობა, რაც

[53] სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, სამუშაო ვერსია. სოციალურ მუშაკთა ასოციაცია,2020 წელი, გვ.35.

[54] სოციოლოგიური კვლევა, სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსები, 2017 წელი, 12გვ. ხელმისაწვდომია: https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf (15/12/2020)

[55] სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები-EMC,2017 წელი. 9გვ.

მნიშვნელოვნად აისახება შესრულებული სამუშაო ეფექტიანობაზე. როგორც ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2017 წლის კვლევაშია აღნიშნული სოციალური მუშაკებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ფიზიკური უსაფრთხოების საკითხი, რაც მომდინარეობს საველე სამუშაოების შესრულებისას, ცალკეულ რთულ ქეისებზე მუშაობის შემთხვევაში. ვინაიდან, არ არსებობს სოციალურ მუშაკთა უსაფრთხოების პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავდა სოციალური მუშაკის საქმიანობას კრიტიკულ სიტუაციებში და უზრუნველყოფდა ფიზიკური უსაფრთხოების რისკის დაზღვევას.[56]

ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების უწყვეტი განათლების მიუწვდომლობის და სამუშაო პირობების სირთულის პროპორციულად მზარდია ჯანდაცვის სამინისტროდან სოციალურ მუშაკთა კადრების გადინება.[57]

„სოციალური მუშაობის შესახებ“ 2018 წლის 13 ივნისს მიღებული კანონი, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მუშაკების მიმართულებებს და უფლება-მოვალეობებს, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, ასევე დამსაქმებელს ავალდებულებს სოციალური მუშაკის საქმიანობის მხარდაჭერას. კერძოდ, ღირსეული შრომითი პირობების შექმნას.

განისაზღვრა სოციალურ მუშაკთა მიმდინარე შემთხვევათა ზღვრული ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50-ს, ასევე აღნიშნულ იქნა სოციალურ მუშაკთა ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების საკითხი.[58]

---

[56] იქვე: 14გვ.

[57] კვლევის ანგარიში, რეკომენდაციები მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, (CSDC) 2018წელი, 9გვ. ხელმისაწვდომია: https://csdc.ge/media/1001362/2018/03/19/268bfc414638687a0d67cfff5123a971.pdf (16/12/2020)

[58] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ 2018 წელი 13 ივნისი, თავი V.

აღნიშნული კანონის ნაწილობრივ პოზიტიური როლის მიუხედავად, ბავშვთა ზრუნვის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები 2019 წლის 25 მარტიდან გაიფიცნენ. ისინი სოციალური მომსახურების სააგენტოში, სისტემური ხარვეზების აღმოფხვრას მოითხოვდნენ.[59]

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასებით აღნიშნული გაფიცვა ისტორიული მნიშვნელობის იყო. იგი ემსახურებოდა სოციალური მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებების, სოციალური დაცვის მეტად სამართლიანი, ეფექტური და ჰარმონიული მექანიზმების და პოლიტიკის შექმნას.[60]

აღნიშნულ გაფიცვას წინ უძღვოდა რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვი დაიღუპა, სახელმწიფო უწყებების დაგვიანებული ჩართულობის ან უმოქმედობის გამო. (მაგ:4 წლის ნინო ზალინაშვილის ამბავი, რომელიც მოძალადე დედის მსხვერპლი აღმოჩნდა).[61]

სოციალური მუშაკების მხრიდან პროტესტის უკიდურესი ფორმის გამოხატვამდე იყო თვენახევრიანი მედიაციის უშედეგო პროცესტი, სადაც სოციალურმა მუშაკებმა გააჟღერეს 22 მოთხოვნა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ვერ ასრულებდნენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს კადრების სიმცირის და სათანადო სერვისების არ ქონის გამო. [62]

აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკები გაფიცვით შრომითი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ითხოვდნენ, სოციალური სერვისების სისტემურ გააზრებას, რაც აუცილებელია და სასიცოცხლო

---

[59] ჟურნალი ტაბულა, ხელმისაწვდომია: http://www.tabula.ge/ge/story/146680-socialuri-mushakebi-gaficvas-tskveten (18/12/2020)

[60] ადამიანის განვითარების ცენტრი, EMC ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-sotsialur-mushakebs-mkhardacheras-utskhadebs (18/12/2020)

[61] რადიო თავისუფლება ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/29726708.html?fbclid=IwAR1LXqHxVvG8VnwncZ8EVQEEX5QyloGkyU4f8Qoj13nm006Cup88-f6dPc4 (18/12/2020)

[62] რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/რატომ-იფიცებიან-სოციალური-მუშაკები-/29833951.html?fbclid=IwAR2zRKs_YVX0iHqBNsoFt_N9CL_LRO1Z9HbfdkbTqeHoPg0DrKn3tJDtw1k (15/01/2021)

მნიშვნელობის მატარებელია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში.[63] მათი განცხადებით იმისათვის, რომ გაფიცვა შეწყვეტილიყო და სოციალურ მუშაკებს საქმიანობის გაგრძელება შესძლებოდათ 22 მოთხოვნიდან 6 ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გამოყვეს: ტრანსპორტის დანიშვნა; ყველა სერვის-ცენტრისთვის იურისტის მიმაგრება, ფსიქოლოგის კადრის გაზრდა, შრომითი ანაზღაურების გაზრდა, საპროცესო წარმომადგენლობის ჩამოშორება და იმ საქმიანობის სხვა სპეციალისტებისთვის გადაბარება, რაც სოციალური მუშაკის საქმიანობას არ ეხებოდა (მაგ. ვაუჩერების ბეჭდვა, მოქალაქეთა განცხადებების მიღება.)[64]

საქართველოს სახალხო დამცველი 2019 წლის 1 მარტს შეხვდა სოციალურ მუშაკებს და მოუსმინა მათ ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებს. ნინო ლომჯარიას შეფასებით, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სისტემის რეფორმა, დროულად, მოახდინოს სოციალურ მუშაკთა საკადრო, ინფრასტრუქტურული და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა.[65]

2019 წლის 28 მარტს, საქართველოს პარლამენტარებმა, ბექა ნაცვლიშვილმა, დავით ჭიჭინაძემ და ბექა გოგიჩაიშვილმა გამართეს სპეციალური ბრიფინგი, რითიც მხარდაჭერა გამოუცხადეს სოციალურ მუშაკებს.

„თუ სოციალური მუშაკების სამართლიანი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება ეს დააზარალებს, არამხოლოდ მათ სამუშაო მდგომარეობას, არამედ შესაბამისად იმ ოჯახებსაც, რომლებზეც მათ უწევთ ზრუნვა. სოციალური პოლიტიკა ქვეყანაში უნდა გახდეს ზრუნვაზე და მხარდაჭერაზე ორიენტირებული, რომ ადამიანებს მომავალში

[63] ადამიანის განვითარების ცენტრი, EMC ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-sotsialur-mushakebs-mkhardacheras-utskhadebs (18/12/2020)
[64] ხელმისაწვდომი: https://www.facebook.com/radiotavisupleba/videos/843221909349628 (15/01/2021) რადიო თავისუფლება
[65] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი . ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-nino-lomjaria-sotsialur-mushakebs-shekhvda (19/12/2020)

განვითარების და თვითრეალიზების საშუალება მიეცეს“- განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.[66]

სოციალური მუშაკების პროტესტს, ასევე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, რომელმაც გააკეთა შემდეგი სახის განცხადება: „სოციალური მუშაკების სამუშაო გრაფიკი არის ძალიან მძიმე და მსურს, თითოეულ მათგანს გადავუხადო განსაკუთრებული მადლობა შრომისთვის, რასაც ისინი წევენ წლების განმავლობაში.“[67]

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, დავით სერგიენკოს მოუსმინეს, რომელსაც ასევე კითხვები დაუსვეს სოციალურმა მუშაკებმა, სამოქალაქო საზოგადების და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა. მინისტრის ინფორმაციით, სოციალურ მუშაკებს სამგზავრო აბონიმენტები გადაეცემოდათ, ხოლო რაიონებს რამოდენიმე ავტომობილი. სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობდა სრული რეორგანიზაცია.[68]

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის N58 დადგენილებით სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობები მეურვეობისა და მზრუნველობის და საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სამსახურმა შეითავსა

---

[66] საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/parlamentis-wevrebma-socialuri-mushakebis-gaficvis-sakitxze-brifingi-gamartes.page (18/12/2020)

[67] საქართველოს მთავრობა, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=520&info_id=70877 (19/12/2020)

[68] საქართველოს პარლამენტი, ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/djanmrtelobis-dacvisa-da-socialur-sakitxta-komiteti-149/axali-ambebi-jandacva/djanmrtelobis-dacvisa-da-socialur-sakitxta-komitetis-sxdomaze-davit-sergeenkos-mousmines1.page (19/12/2020)

(შემდგომში-სააგენტო).[69] სააგენტოს მიზანს წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა საქმიანობის ცენტრალიზება და 2020 წლის განმავლობაში სოციალურ მუშაკთა რაოდენობის 271-დან 350-მდე გაზრდა.[70]

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 მარტის ბრძანებით სააგენტოს სერვის ცენტრებში ქვეყნის მასშტაბით სოციალური მუშაკების 69 საშტატო ერთეული დაემატა. ასევე გაიზარდა მათი ანაზღაურება და 1200 ლარიდან 1600-ლარამდე განისაზღვრა დატვირთვის შესაბამისად.[71]

სოციალურ მუშაკთა გაერთიანების მიერ მომზადებული 2020 წლის, სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების შეფასების, ალტერნატიულ ანგარიშში 2025 წლამდე სოციალური მუშაობის შესახებ კანონის სრულად ამოქმედების გაჭიანურება მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური კეთილდღეობი პოლიტიკა არ არის სათანადოდ პრორიტეტად მიჩნეული. 2021 წლამდე კი მხოლოდ ის ცვლილებები განხორციელდა რაც არ საჭიროებს ფინანსურს ხარჯებს, კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი ღონისძიებები კი განუხორციელებია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სოციალურ მუშაკთა ტრანსპორტირების საკითხი, მათი რაოდენობის ზრდა და სათანადო სპეციალიზაცია.[72]

ასევე ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, სოციალური მუშაკის საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ტრანსპორტირების პრობლემა, რომელიც თითქოს ერთი შეხედვით ძალიან

---

[69] საქართველოს მთავრობის N58 დადგენილება ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4784324?publication=0 (19/12/2020)

[70] ინტერნეტპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/584013-socialuri-momsaxurebis-saagentos-punkciebis-nacili-saxelmcipo-zrunvisa-da-trepikingis-msxverplta-dazaralebulta-daxmarebis-saagentos-gadaeca/ (19/12/2020)

[71] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხერპლთა, დაზარალებულთა დახმარების დირექტორის ბრძანება N07-40/ო http://atipfund.gov.ge/res/docs/brzaneba_07-40-o_25_03_2020.pdf გვ.2 (19/12/2020)

[72] სოციალური მუშობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების შეფასება, ალტერნატიული ანგარიში, სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, 2020 წელი https://drive.google.com/file/d/12peFLKnBiW0q873szGXlSXsnhVTOIuaa/view (01/02/2021)

ტექნიკური და მარტივი საკითხია, მაგრამ რეალურად იგი ყოველდღიური მუშაობის პროცეში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. გამოკითხულ სოციალურ მუშკთა 54%-ის ინფორმაციით მათ ხშირად საკუთარი ხარჯით უწევთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება, 40% კი აღნიშნავს, რომ ყოველთვის ხელფასიდან გაღებული თანხით უწევთ ვიზიტების განხორციელება. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუების პროცესში გამოირკვა, აღნიშნული ტენდენცია გასული წლებისგან გარკვეულწილად გაუმჯობესებულია. კერძოდ, თბილისის თითოეული სერვის ცენტრისთვის კვირის განმავლობაში ერთი დღე არის ტრანსპორტი გამოყოფილი და სოციალური მუშაკები ცდილობენ მორიგეობით განახორციელონ ვიზიტები. აღნიშნულ გარემოებასაც აქვს თავისი ნაკლოვანება, რადგან როგორც საუბრიდან ირკვევა ხშირად სოციალური მუშაკები მისამართების მიხედვით აჯგუფებენ ქეისებს, ელოდებიან ერთმანეთს, სამსახურის მანქანით მაქსიმუალურად ბევრი ვიზიტის განხორციელება რომ შეძლონ, რაც თავისთავად გულისხმობს ხშირ შემთხვევაში ვიზიტზე დაგვიანებით გასვლას, ან შეფასების პროცესის სწრაფად დასრულებას რათა კოლეგას არ დააგვიანონ და ერთ დღეში შეძლონ მაქსიმალურად ბევრ შემთხვევაზე გასვლა. აღნიშნული პრაქტიკა პირდაპირ კორელაციაშია ზედაპირულად, ხარვეზით შესრულებულ სამუშაოსთან. სოციალური მუშაკთა ნაწილი ასევე აღნიშნავს, რომ მათ ყოველდღიური საქმიანობითვის დიდი ტვირთია უამრავი ბიუროკრატიული პროცედურების წარმოება, რაც აფერხებს შემთხვევაზე დროულ რეაგირებას. რესპოდენტთა ინფორმაციით, უკანასკნელი წლის განმავლობაში, რაც ერთი ტრანსპორტი ემსახურება 60-მდე სოციალურ მუშაკს, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე დამატებით დოკუმენტების შევსება არ უწევთ და გადაუდებელ შემთხვევაზე მეტ-ნაკლებად სწრაფად ახერხებენ გასვლას. თუმცა, მთავარი გამოწვევა სწორედ შემთხვევაზე გასვლის შემდეგ იწყება. რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს ბავშვის ძალადობისგან დასაცავად ან მისი

რეაბილიტაციისთვის. განსაკუთრებულ მწვავე პრობლემად იკვეთება სათანადო მომსახურების არარსებობის ან არაეფექტიანი პროგრამების საკითხი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რესპოდენტების პასუხი არის შემდეგი:

„ჩვენი საქმიანობა ძალიან ფასადურია, შემთხვევაზე, რომ გავიდივარ თუ ოჯახში მწვავე კრიზისია და არსებულ პროგრამებში ჩავრთავ, დახმარება ერთი თვის მერე მოუწევთ. თუ ძალადობის ნიშნებია და ფსიქოლოგის ჩართვა დამჭირდა ფაქტიურად გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, რადგან თბილისს ერთი ფსიქოლოგი ემსახურება და ჩემს მიერ გადამისამართებულ ბავშვს შეიძლება თვეობით მოუწოს რიგი ფსიქოლოგთან ერთი ვიზიტისთვის, რომელ ხარისხზე და ეფექტურობაზეა საუბარი...“

„ერთ დღის განმავლობაში შეიძლება დამევალოს ხანდაზმულთა პანსიონატში მოხუცის ჩარიცხვა, პრევენციულ პროგრამაში ოჯახის ჩართვა, სასამართლო დავა, საპროცესო წარმომადგენლობა, დღის ბოლოს ბავშვზე ძლადობის შემთვევაზე დამირეკონ გადაუდებლად, ძალიან რთულია ამდენ მიმართულებაზე ერთდროულად მუშაობა, მუდმივად გვაწუხებს მეც და სხვა სოც. მუშაკებსაც ის ფაქტი, რომ ვერ ვართ ყველა საკითხში კომპეტენტურები, ან როგორ უნდა ვიყოთ 20-ზე მეტი მიმართულებით ვმუშაობთ, მინიმუმ იმას ვდარდობ, არავის ვავნო ჩემი საქმის კეთებით ან ზოგ შემთხვევაში არგაკეთებით. სხვანაირად უბრალოდ არ გამოდის...“

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ნაკლებობა, როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, გასული წლის განმავლობაში არაერთმა სოციალურმა მუშაკმა დატოვა სამსახური საკუთარი სურვილით. ასევე მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს, სამოქმედო გეგმის თანახმად 2019 წელს 50 სოციალური მუშაკით უნდა გაეზარდა კადრები, 2020 წლის თებერვლიდან, რეორგანიზაციის საფუძვლით ქვეყნის მასშტაბით 40-მდე სოციალური მუშაკი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

აღნიშნულმა ფაქტმა მკვეთრად გაზარდა სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვა და კიდევ უფრო მეტად შეაფერხა სრულფასოვანი სამუშაოს შესრულება. გამოკითხვიდან ირკვევა, რომ სოციალურ მუშაკების უმრავლესობის შეფასებით თვის განმავლობაში 50-ზე მეტ შემთხვევასთან მუშაობა უწევთ. სამუშაო დატვირთვის გამო სოციალური მუშაკები ვერ ახორციელებენ შემთხვევების სიღრმისეულ შესწავლას, მათ ზოგჯერ ოჯახში ვიზიტის განხორციელების ნაცვლად სატელეფონო გასაუბრების ჩატარება უწევთ, რათა განსაზღვრულ დროში მოასწრონ სამუშაოს შესრულება, რაც ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად არ ხორციელდება შემთხვევის სიღრმისეული შესწავლა. აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის შედეგებიც ლოგიკურია, სადაც კითხვაზე - "რამდენად ხართ კმაყოფილი თქვენს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხით, ბავშვის უფლებათა დაცვის მიმართულებთ", გამოკითხულთა 40% უფრო მეტად უკამყოფილოა საკუთარი შესრულებული სამუშაოს ხარისხით.

მონაცემთა ანალიზიდან ერთ-ერთი პრობლემა რაც გამოვლინდა, ესაა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. გამოკითხულ რესპოდენტთა 50%-ს გავლილი აქვს მხოლოდ სოციალური მუშაკის სასერთიფიკატო კურსი და არ აქვთ აკადემური განათლება მიღებული, რის გამოც შემთხვევებზე მუშაობისას ძირითადად სამუშაო პრაქტიკაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ასევე მათი მუშაობის ხარისხს მკვეთრად აუარესებს მრავალი მიმართულებით მუშაობა. სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები მუშაობენ, როგორც ხანდაზმულებთან, ასევე ბავშვებთან, ძალადობის შემთხვევებზე, პრევენციული პროგრამების მიწოდებაზე, საოჯახო დავებზე და კიდევ არაერთი მიმართულებით, რაც წარმოუდგენელს ხდის ერთი სოციალური მუშაკისთვის ყველა მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებას.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა 30%-ს ხუთიდან ათ წლამდე სამუშაო გამოცდილება აქვს, ხოლო 42% ათ წელზე მეტი, მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დამსაქმებლი არ ზრუნავს სოციალურ მუშაკთა პროფესიულ განვითარებაზე და პრაქტიკულად პროფესიულ ალღოზე დაყრდნობით მუშაობენ, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელი ფაქტია ბავშვთა მიმართ ძალადობისგან დაცვის მიმართულებით მუშაობისას.

1.3. სოციალური მომსახურებები ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის, არსებული პროგრამები და მათი რეალიზების პრაქტიკა

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის ხედვით ადამიანის უფლებებათა პატივისცემა საერთო ღირებულებაა, სადაც ყველა ადამიანი უაზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებითა და კეთილდღეობით. სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ბავშვთა დაცვა, სოციალური მომსახურების სისტემის განვითარება. ბავშვების ოჯახებსა და ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განვითარება.[73]

საქართველოში სოციალური მომსახურების მიწოდება ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის ორ ძირითად დონეზე მიმდინარეობს.

2020 წლის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით განისაზღვრა პრევენციული და მხარდამჭერი ქვეპროგრამები. ესენია:[74]

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა;
- ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამა;

[73] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020წლებისთვის) დამტკიცების შესახებ გვ.8.

[74]საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (19/12/2020)

- დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა;
- განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხები მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალური საოჯახო ტიპის მომსახურებები;
- მიუსაფარ ბავშთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- მცირე საოჯახი ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- მინდობითი აღზრდის ქვეპროგრამა;
- დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;

პირველადი საჭირობების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის მხარდაჭერაა, კრიზიულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა. რომლის მიზანია ბავშვებისთვის პირველადი საჭიროებებით, საკვები პროდუქტებით და საყოფაცხოვრებო საქონლით უზრუნველყოფა. სამიზნე ჯგუფს ძირითადად სოციალურად დაუცველი ოჯახები, წარმოადგენენ რომელთაც ყავთ სამი ან მეტი შვილი, შშმ ბავში ოჯახში. ეს პროგრამა ასევე განკუთნილია რეინტეგრაციის პროგრამით მოსარგებლეთათვის და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის დატოვების შემდგომ ოჯახის მხარდასაჭერად.[75]

[75] სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1105 (19/12/2020)

ბავშვის სოციალური განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ქვეპროგრამაა, რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია ოჯახის გაძლიერება, ბავშვის ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერა. აბილიტაცია, ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობაა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ, შესაბამისი დიაგნოზის მქონე 3-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამისთვის 2020 წელს 3 440 000 ლარი გამოიყო.[76]

დღეისათვის საქართველოში ოჯახის დამხმარე პრევენციული ღონისძიებებია დღის ცენტრის მომსახურებები, რომლის ამოცანას წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. პროგრამა ჯანმრთელი ბავშვის შემთხვევაში პირდაპირ მიბმულია, ოჯახის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ქულასთან. ის 100 000 ქულაზე მანკლები უნდა იყოს. ჯანმრთელობის პრობლემები მქონე ბავშვებისთვის ან შშმ არასრულწლოვნებისთვის კი დიგნოზის შესაბამისად ხდება დღის ცენტრის მომსახურების დაფინანსება.[77]

ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მიზანია ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდებით შეზღუდული შესახლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახისა და ბავშვის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ადრეული ინტერვენციის პროცესი მოიზარებს დაბადებიდან სამ წლამდე ან საჭიროების შემთხვევაში 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის და/ან

---

[76] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი1.3. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (19/12/2020)

[77] სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=503 (19/12/2020)

ამ ხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბავშვის კოგნიტური, მოტორული კომუნიკაციის და ემოციური განვითარების მხარდაჭერა, განვითარების შფერხების და მიტოვების პრევენცია, ასევე მშობლების განათლება და მხარდაჭერა ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში. სახელმწიფო თვის განმავლობაში 14 000 ვიზიტს აფინანსებს. 2020 წელს ბიუჯეტიდან ქვეპროგრამისთვის 3 200 000 ლარი გამოიყო.[78]

ბავშვთა მიტოვების და ოჯახის გაძლიერების მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა, დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. აღნიშნული მომსახურება ბენეფიციარებს სთავაზობს უსაფრთხო 24 საათიან თავშესაფარს, სადაც ხორციელდება პროფესიული და არაფორმალური განათლების მხარდაჭერა, ასევე უზრუნველყოფილნი არიან ფსიქლოგიური მომსახურებით. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სხვადასხვა პრობლემის მქონდე დედა არასრულწლოვან შვილ(ებ)თან ერთად, თუ ერთ-ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის და მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან. ასევე, სხვადასხვა პრობლემის მქონე ქალი, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26 კვირაში იმყოფება. ბიუჯეტიდან პროგრამისთვის 600 000 ლარი არის გამოყოფილი 2020 წელისთვის.[79]

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენლების მიხედვით, მიუსაფარი ბავშვი განისაზღვრა, როგორც ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე არასრულწლოვანი. ზრუნვის სააგენტო ახორციელებს მიუსაფარი ბავშვის იდენტიფიცირებას. ამ პერიოდისთვის ბენეფიციართან უკვე მუშაობს

[78]საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი1.2. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (19/12/2020)

[79]იქვე:დანართი1.8. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (19/12/2020)

უფროსი სოციალური მუშაკი, რომელიც უზრუნველყოფის ბავშვის ჩარიცხვას შესაბამის მომსახურებაში.[80]

აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლეებთან მუშაობენ, მობილური ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაზეც ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი სოციალური მუშაკი. დღეისათვის საქართველოში არის როგორც მიუსაფარ ბავშვთათვის 24 საათიანი თავშესაფრები ასევე კრიზისული დღის ცენტრები. საქართველოში ექვსი მობილური ჯგუფი მუშაობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან.[81] სახელმწიფო მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ღონისძიებების კუთხით სთავაზობს მობილური ჯგუფის მომსახურებას, რომელსაც ქმნის ფსიქოლოგი, მძღოლი, თანასწორ განმანათლებელი. აღნიშნული გულისხმობს ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) სამიზნე ჯგუფის ბავშვების პოტენციური მუშაობის/ყოფნის ადგილებში ვიზიტების განხორციელებას; სამიზნე ჯგუფის ბავშვების შესახებ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირებას; ბავშვებთან კონტაქტში შესვლას, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას, კონსულტირებას და სოციალური მუშაობის განხორციელებას; საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება, ფსიქოლოგიური მომსახურეის უზრუნველყოფა, ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოწესრიგება, მისი პირადი ჰიგიენის ნივთების უზრუნველყოფასა და დაცვის ხელშეწყობას, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიებას და სოციალური გარემოს პირველად შეფასებას. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზანს

[80] მთავრობის დადგენილება N437 ,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების შესახებ 2016 წელი ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0

[81] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი1.11. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0

წარმოადგენს არასრულწლოვანს შეეთავაზოს უსაფრთხო გარემო, სადაც განხორციელდება ფსიქო-სოციალური რეგილიტაცია და ინტეგრაცია.[82]

ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვის რამდენიმე ალტერნატიული ფორმაა განვითარებული. მინდობითი აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი და რეინტეგრაცია.

ბავშვზე ზრუნვის სისტემა საქართველოში არ გამოირჩევა მრავალფეროვანი სერვისით. თუმცა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში, როდესაც განხორციელდა დიდი ინსტიტუციების დახურვა და ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა, დაინერგა მინდობითი აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების პროგრამა.[83]

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლის ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, ანგარიშში დადებითადაა შეფასებული დეინსტუტციონალიზაციის პროცესი, რა დროსაც 40-მდე დაწესებულება დაიხურა, თუმცა დარჩა თბილისისა და კოჯრის შეზღუდულუში შესაძლებლობის მქონე ბავშვების თავშესაფარი.[84]

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის შეფასების ანგარიში აღნიშნულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის რეფორმის ნელი ტემპი, რაზეც ერთი მხრივ მეტყველებს შშმ ბავშვთა სახლების ჯერ კიდევ არსებობა და მეორე მხრივ შშმ ბავშვთა ინდენტიფიცირების პრობლემა საქართველოში.[85]

სახელმწიფო ვალდებლულია აღმოუჩნოს მხარდაჭერა ბავშვებს და უზრუნველყოს ისინი ალტერნატიული ზრუნვის ფორმით. ასევე,

---

[82] მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, 2019, მუხლი 2 ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1104 (21/12/2020)

[83] ღია საზოგადოების ფონდი, ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/voice/deinstitucionalizacia-b/ (22/12/2020)

[84] ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახხებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, მომზადებულია მეგი ნიკოლსონის მიერ, ხელმისაწვდომია: http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8512ReportonimplementationHumanRightsStrategyGEOEWMIUNDP.PDF (22/12/2020)

[85] ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში 2014 წელი, გვ. 14.

უფლებამოსილი ორგანოების საშვალებით გაუწიოს მეთვალყურეობა ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და მუდმივ განვითარებას.[86]

ალტერნატიულ ზრუნვაში ბავშვის განთავსება უკიდურესი ზომაა და ბავშვის ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობას ემსახურება, მაგრამ ამ შესაძლებლობის არარსებობის დროს, ბავშვის უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა, როგორიცაა ბავშვის შვილად აყვანა.[87]

მინდობითი აღზრდა ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშემწყობი პროგრამა, რომლის მიზანს მზრუნველობამოკლებული ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება, სრულწლოვნობის შემდგომ კი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება წარმოადგენს.[88]

საქართველოში ოთხი სახის მინდობითი აღზრდის პროგრამა არსებობს, ესაა გადაუდებელი მინდობითი აღზრდა, ნათესაური მინდობითი აღზრდა, რეგულარული მინდობითი აღზრდა, ჩამნაცვლებელი მინდობითი აღზრდა.[89] მინდობითი აღზრდის პროგრამა გულისხმობს რამდენიმე პროცედურას. ესაა: მინდობით აღზრდის მსურველი პირის რეგისტრაცია და შეფასება, მინდობით აღსაზრდელის და მისი ბიოლოგიური ოჯახის შეფასება, მინდობით აღზრდის მსურველი პირის და მინდობით აღსაზრდელის თავსებადობის შეფასება, მინდობით აღზრდას

[86]ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო, გვ.6. ხელმისაწვდომია: https://www.sos-childrensvillages.org/getmedia/9f86c1c4-8048-462f-962a-fc7beb5f41ca/UN-Guidelines-Georgian.pdf?ext=.pdf (24/12/2020)

[87] საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, თავი IV. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214084? (24/12/2020)

[88] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი1.9. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (24/12/2020)

[89] სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=49&info_id=358 (24/12/2020)

დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და მისი განვითრების მონიტორინგი.[90]

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამით მინდობითი აღზრდისთვის 10 მილიონამდე ლარია გამოყოფილი.[91]

სახალხო დამცველის, ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის, სპეციალურ ანგარიშში, ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში არასრულწლოვნის განთავსების ძირითად მიზეზს სიღარიბე, ბიოლოგიურ ოჯახში მძიმე სოციალური მდგომარება, არასათნადო პირობები და ძალადობის შემთხვევათა სიმრავლე, მათ შორის უგულებელყოფა. სამწუხაროდ ისევ პრობლემატურია სახელმწიფო სერვისების ნაკლებობა, რომელიც უნდა იყოს ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული.[92]

მცირე საოჯახო ტიპის რეზიდენტული ზრუნვა, განიხილება, როგორც ზრუნვის უკიდურესი ფორმა, როდესაც ვერ ხერხდება მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსება ან შვილად აყვანა არის შეუძლებელი.[93] მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვნის, 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვაში ჩარიცხვა. რაც გულისხმობს მზრუნველობამოკლებული ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდას. პროგრამის სამიზნე ჯგუფს 6-დან 18 წლამდე მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, მათ შორის

---

[90] სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სამუშაო ვერსია, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2020 წელი, გვ.55.

[91] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, დანართი1.9. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0 (24/12/2020)

[92] საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, თბილისი 2019 წელი, გვ.6.

[93] საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი, თავი IV. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214084? (24/12/2020)

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა რეინტეგრაცია, შვილად აყვანა ან მინდობითი აღზრდის პროგრამაში განთავსება ვერ ხერხდება.[94]

2019 წლის მონაცემებით მცირე საჯახო ტიპის სახლებში 305 არასრულწლოვანი ირიცხებოდა.[95]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელდა 43 მცირე საოჯახო ტიპის სახლის მონიტორინგი სადაც განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინდეტიფიცირების საკითხი, პრევენცია და ძალადობის ფაქტებზე დროული რეაგირება, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვა. მიუხედავად არაერთი ხარვეზისა აღნიშნულ ანგარიშში ასევე საუბარია, მომსახურების განვითარების დადებით დინამიკაზე რომელიც 2015 წლის მონიტორიგის შემდგომ გამოიკვეთა.[96]

ქვეყანაში 2019 წელს სახელმწიფო ზრუნვაში 465 არასრულწლოვანი განთავსდა. 2020 წლისთვის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სულ 305 არასრულწლოვანი ირიცხებოდა, ხოლო მინდოითი აღზრდის პროგრამით 1556 ბავშვი სარგებლობს. 2019 წლის სტატისტიკით სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებულ ბავშვთა 72,8% ძალადობის საფუძლით განთავსდა, ცხოვრებისთვის არასათანადო დონის საფუძლით 18,4%, მშობლისგან მიტოვების შედეგად-5,2%, ბავშვის ქცევის მიზეზით-2%, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო -1,6%.

სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია ძალადობისგან დაცვის კუთხით, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რადგან ქვეყანაში არსებული

---

[94] სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სამუშაო ვერსია, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2020 წელი, გვ.56.

[95] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468
ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468 (30/12/2020)

[96] საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, თბილისი 2019 წელი, გვ.25. გვ.26.

მომსახურებები, არ არის ორიენტირებული მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.[97]

ბავშვთა სახლიდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების მიზნით შეიქმნა რეინტეგრაციის პროგრამა. რეინტეგრაციის მიზანს წარმოადგენს ოჯახის სოციალური ფუნქციონირების ამღალება და ბავშვის ინსტიტუციაში დაბრუნების რისკის მინიმალიზება.[98]

რეინტეგრაციის პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოწვევად რჩება, არასრულწლოვანთა საჭიროებების ადეკვატური დაკმაყოფილება და მათთვის ბაზისური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. ასევე განსაკუთრებული პრობლემა ძალადობის ფაქტებით იდენტიფიცირება და პრევენცია, რაც გარკვეულწილად საზოგადოებაში დამკვიდრებულ მცადრი აღზრდის შეხედულებებს უკავშირდება.[99]

ეფექტური და უსაფრთხო რეინტერაცია გულისხმობს სისტემურ მიდგომას, ბავშვთა უფლებათა დაცვის მიმართულებით. ეს არ არის ერთჯერადი პროცესი. იგი ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამუშაოა. მისი მხარდაჭერა გულისხმობს ნათლად განსაზღვრული კანონმდებლობა, სათანადოდ სპეციალიზებულ ადამიანურ რესურსს და ადეკვათურ ფინანსურ მხარდაჭერას. წარმატებული რეინტეგრაციისთვის მნიშნელოვანია მუნლტიდისციპლინარული მუშაობა სადაც სხვადასხვა სფეროს წარმომაგდგენლები არიან ჩართულები. 2019 წელს განხორციელდა 130 ბავშვის რეინტეგრაცია, 9 ბავშვი კი რეინტეგრაციიდან კვლავ სახელმწიფო ზრუნვაში დაბრუნდა.[100] რა დროსაც განსაკუთრებული პრობლემაა არასრულწლოვნის ბავშვზე ზრუნვის სისტემიდან

---

[97] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468

[98] სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=501 (02/01/2021)

[99] საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, თბილისი 2019 წელი, გვ17.

[100] ბავშვთა რეინტეგრაციის საკითხების სახელმძღვანელო პრინციპები, უწყებათშორისი ჯგუფი გვ.7. ხელმისაწვდომია: https://www.sos-childrensvillages.ge/assets/img/uploads/publications/_geo.PDF (02/01/2021)

მომუმზადებელი გასვლა.[101] სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში ასევე აღნიშნულია რომ რეინტეგრაციის პროცესში არ არის არასრულწლოვნების საჭიროებები და რისკები სრულად შეფასებული.

აღსანიშნავია რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად (იხ:დანართი), სოციალურ მუშაკთა დიდი ნაწილის შეფასებით, ამჟამად, ქვეყანაში არსებული არცერთი პროგრამა არ არის სრულად ეფექტიანი.

[101] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი გვ.327.ხელმისაწვდომია:http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468 (02/01/2021)

თავი 2. სოციალური მუშაკის სამართლებრივი შესაძლებლობები

2.1. სოციალური მუშაკის ფუნქცია და შესაძლებლობები ბავშვზე შესაძლო ძალადობის შემთხვევებში

სოციალური მუშაობის შესახებ კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს, არეგულირებს მის უფლებრივ ჩარჩოს.[102] სპეციალისტის ეფექტური სამუშაოს შესრულებისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს საკუთარი უფლებამოსილების საზღვრები, რაც ასევე უზრუნველყოფს მისთვის დაცულობის განცდას.

სოციალური მუშაკი ხელმძღვანელობს ეთიკის ნორმებისა და ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, სოციალური მუშაკი ბენეფიციართან შეთანხმებით და ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინათშორისი თანამშრომლობის ფორმატში განიხილავს, იდივიდუალურ შემთხვევებს.[103]

სოციალური მუშაკის დამოუკიდებლობაზე გავლენის მოხდენა დაუშვებელია. (კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, თავი II).

სოციალური მუშაკი მის მიერ განხორციელებულ ყველა საქმიანობას უნდა ახორციელდებოდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, რათა მას ჰქონდეს კანონიერი ძალა.[104] სოციალური მუშაობა მაღალი საჯარო ინტერესის სფეროს მქონე პროფესიას განეკუთნება, კანონმდებლობის თანახმად. შესაბამისად, საკანონმდებლო ბადე არეგულირებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ მოვალეობებს და ფუნქციებს. სოციალური მუშაკის საქმიანობა ხშირ შემთხვევაში ადამიანების ცხოვრებასა და მომავალზე ახდენს გავლენას. საზოგადოების სოციალური განვითარებისთვის სოციალური მუშაობა მნიშნელოვან პროფესიას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო განსაკუთრებული

---

[102]ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო გვ.172.

[103] საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ, თავი II. ხელმისაწვდომია:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=4 (03/02/2020)

[104] იქვე: თავი II, 2,7 ქვეთავი.

სიფრთხლითა და ინტერესით უნდა უნდა მიუდგეს სოციალური მუშაკების იმ ღონისძებებს, რომელიც პირდაპირ შემხებლობაშია ადამიანის უფლების შეზღუდვასთან და რეგულირებული უნდა იყოს კანონმდებლობის მიერ.[105]

სოციალური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, პრევენციის მიმართულებით მუშაობა. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის 36-ე მუხლში, პრევენციულ ღონისძიებად განისაზღვრება, მომსახურება, რომელიც ბენეფიციარს მიეწოდება სოციალური მუშაკისგან, მანამდე სანამ არ დამდგარა საფრთხე, თუმცა გარემოებების შეფასებით დიდია ალბათობა წარმოიქმნას საფრთხე. პრევენციული მუშაობა არამხოლოდ სამიზნე ჯგუფთან მუშაობას, არამედ საზოგადოებრივ მუშაობას მოიაზრებს. ამგვარად, სოციალური მუშაკი საზოგადოებაში სოციალური წესრიგის დამცველის ფუნქციასაც ითავსებს, იგი აკვირდება მის ირგვლივ მომხდარ ფაქტებს და კომპეტენციის გათვალისწინებით მისთვის შესაძლებელი უნდა იყოს იმ მოსალოდნელი მოვლენების, საფრთხის ანალიზი რაც შესაძლოა რიგითი არაპროფესიონალი ადამიანის ყურადღების მიღმა დარჩეს. სოციალური მუშაკის საკვანძო ღონისძიებას ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პრობლემის განსაზღვრა. პროფესიონალმა შეფასება სისტემურად უნდა განახორციელოს, რათა პრობლემა სწორედ განსაზღვროს და დაგეგმოს ინტერვენცია.[106] ბენეფიციარისთვის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას სოციალური მუშაკის მხრიდან მხარდაჭერა წარმოადგენს. რაც შესაბამის ინტერვენციას გულისხმობს. აღნიშნული ბენეფიციარის კომპეტენციის და არჩევანის გავითარებას გულისხმობს, რათა გაუმჯობესდებს მისი სოციალური ფონქციონირების ხარისხი და შეძლოს დამოუკიდებელი მოქმედება.[107]

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი განიხილავს დასარეგულირებელ მიმართულებებს და ღონისძიებას, იგი მაინც ტოვებს

---

[105] ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი, სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო გვ.172-175გვ

[106] იქვე: გვ.175.

[107] მ.მგელიაშვილი, ს.ნამიჭეიშვილი, სახელმძღვანელო ბავშვება და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, 2010 წელი, თბილისი, გვ.68-70.

კანონში ღია ფანჯარას პროფესიის ფუნქციების გასაფართოვებლად, რაც შესაძოა გლობალიზაციის ან საზოგადოებისთვის ახალი ფუნქციების შეძენით იყოს გამოწვეული.[108] „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის 40-ე მუხლის თანახმად- „სოციალური მუშაკი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის საფრთხის თავიდან აცილებას და ემსახურება ბენეფიციარის საზოგადოებაში ინტეგრაციას.“

ძალადობასთან ბრძოლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს 2030 წლისთვის ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა წარმოადგენს.[109]

ბავშვთა დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ნაბიჯია საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებების შესახებ“, სადაც მერვე თავში საუბარია ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლებაზე. იგი სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს სათანადო ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვის მიმართ და ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის. ასევე, ავალდებულებს არასრულწლოვნის უფლებების აღდგენის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის, როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.[110]

აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვანია რომ ხაზგასმა ხდება ძალადობის ყველა ფორმასთან.

---

[108]ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო გვ.183.

[109]იუნისეფი საქართველი. ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/საქართველო-უერთდება-ბავშვთა-მიმართ-ძალადობის-დაძლევის-გლობალურ-ქსელს (08/01/2021)

[110] საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებების შესახებ“ თავი VIII, მუხლი.53

მუხლი 53: ,,ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულებელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნებით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის ინტერნეტსივრცეში.“

საქართველოში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია 2006 წლიდან შემუშავდა, როდესაც შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ფონდის მიზანს წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, რებილიტაციის, და დახმარების ღონისძებების ქმედითი და ეფექტიანი განხორციელება.[111] აღნიშნული ფონდის საქმიანობამ და 2006 წლის მაისში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მიღებულმა კანონმა, გამოკვეთა სოციალური მუშაკი როლი როგორც ძალადობის ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულებით. 2010 წელს ბავშვთა დაცვის მიართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დანერგვამ სოცალურ მუშაკს მეტად საპასუხიმგებლო ფუნქცია დააკისრა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.[112]

აღნიშნული პროცედურები, რომლის მიზანს წარმოადგენს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, ავალდებულებს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს, მოახდინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფაქტის იდენტიფიცირება და ეფექტური რეაგირება.[113]

---

[111] საქართველოს პროკურატურა ხელმისაწვდომია: http://pog.gov.ge/page/trefikingis-winaaRmdeg-brZola (08/01/2021)

[112] სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, გვ.7-8.

[113] საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები დამტკიცდა, რითიც სახელმწიფო სხვა უწყებებთან ერთად, ადგილობრივ თვითმმართველობებსაც დაეკისრათ ბავშთა მიმართ ძალადობის რეფერირების პასუხისმგებლობა. ყველა დაწესებულებას, რომელსაც ბავშვთან და/ან მის გარემოსთან აქვს შემხებლობა ვალდებულია, ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში შეატყობინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს(ამჟამად, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) და მოხდეს შემთხვევის შესწავლა.[114]

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თანახმად პოლიციის თანამშრომელი და სოციალური მუშაკი არიან ის პირები, რომლებიც ანხორციელებენ ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას და ახდენენ მყისიერ რეაგირებას, მათ შორის ბავშვის განცალკევებას მოძალადისგან. აღნიშნული კანონი პოლიციის თანამშრომელს ავალდებულებს დაეხმაროს სოციალურ მუშაკს, ბავშვის განცალკევების შესახებ აქტის (დანართი N1) საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში. დადგენილების თანახმად, სოციალური მუშაკი, როგორც მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, დაუყოვნებლივ ახორციელებს ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებას. ბავშვთან ვიზიტის დროს, ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას.[115]

თუ სოციალური მუშაკის შეფასებით ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მომდევნო 24 საათის განმავლობაში შეიძლება შეექმნას

წლის 31მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ-N496-N45/ნ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4.

[114] ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/ბავშვთა-დაცვის-მიმართვიანობის-პროცედურები-აჭარაშიც-ამუშავდება (08/01/2020)

[115] საქართველოს მთავრობის N437 დადგენილება, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, 2016 წელის 12 სექტემბერი, მუხლი 5. მეორე ნაწ. გ. პუნქტი. მუხლი 7. ნაწ. 4.

საფრთხე მან უნდა მიიღოს დაუყოვნებლივი გადაწყვეტილება. თუ არასრულწლოვნის ოჯახიდან განცალკევება ხორციელდება, შესაძლოა მისი გადაყვანა განხორციელდეს დანართი N3-ის საფუძველზე ახლობელთან, ნდობით აღჭურვილ პირთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასრულწლოვანის განთავსდება ხდება სახელმწიფო მზრუნველობაში(მინდობითი აღზრდის, მცირე საოჯახო ტიპის სახლი). ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების და ბავშვის განცალკევების შემთხვევაში, მეურვეობა მზრუნველობის ორგანო ვალდებულია განახორციელოს ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის რეაბილიტაციის პროცესზე მონიტორინგი. ზედამხედველობის პროცესში დამატებითი საჭიროების გაამოვლენის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი რეგიონული საბჭოს წინაშე წარადგენს ახალ გეგმას რისი მიხედვითაც უნდა წარიმართოს ძალადობაგანცდილ ბავშვთან მუშაობა.[116]

გაეროს ბავშვთა ფონდის განმარტებით, ქვეყანაში ბევრი პროგრამის მდგრადობა დამოკიდებულია სოციალურ მუშაკებზე, რომელთა რაოდენობაც კრიტიკულად მცირეა და მათი სამუშაო დროის ნაწილი ბიუროკრატიულ საქმიანობას ეთმობა. სოციალურ მუშაკთა შესაძლებლობის გასაძიერებლად მნიშვნელოვანია შემუშავდეს სათანადო პროგრამები, ვინაიდან ბავშვის უფლებებათა დაცვის მთავარ ელემენტად სწორედ სოციალური მუშაკებს მოიაზრებს ქვეყნის ეროვნული სტრატეგია.[117]

საკანონმდებლო დონეზე გაწერილი პროცედურები, უდიდეს ვალდებულებას აკისრებს სოციალურ მუშაკებს ბავშვთა მიმართ შესაძლო ძალადობაზე მუშაობის მიმართულებით. თუმცა, ქვეყანაში ამ დრომდე არ არის გამართული, კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოების დამოკიდებულება და აღქმა ბავშვთა ძალადობის მიმართ. იუნისევის მიერ ჩატარებულ კვლევით ირკვევა რომ რეფერირების პროცესში ჩართულმა პროფესიონალთა ნაწილმა

[116] იქვე: მუხლი 11. მუხლი 13. ნაწ. 2.

[117] ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, 2017 წელი, გვ.36.

არ იციან საკუთარი ვალდებულები და თვლიან რომ ძალადობის ფაქტზე რეაგირება მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს თუ ძალადობა მძიმე ფორმისაა და რამოდენიმეჯერაა გამეორებული.[118] 2013-2017 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ მოსახლეობის 60%-ისთვის ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდის გამოყენება უფრო შედეგიანია. მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს.[119]

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა-სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკის ფუნქციები და სტატუსი, რომლის მიზანს სოციალური სამსახურის და პროფესიის გამოწვევების ანალიზი წარმოადგენს. კვლევაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად აღნიშნულია, სათანადო სერვისების არ არსებობა. ქვეყანაში ქცევითი აშლილობის მქონე ბენეფიციარებისთვის, ძალადობის მსხვერპლებისთვის არ არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრები, სადაც მიიღებენ სათანადო პროფესიულ მხარდაჭერას.[120]

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში საუბარია, რომ შესწავლილ საქმეთა 37,5% ბავშვის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობას ეხება, საიდანაც გამოირკვა რომ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს შეთხვევათა პრევენციაზე მუშაობა, ასევე დროული რეაგირება და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული რეაგირების მექანიზმის არარსებობა.[121]

---

[118]იუნისეფ საქართველო ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/ბავშვთა-დაცვის-მიმართვიანობის-პროცედურები-აჭარაშიც-ამუშავდება (09/01/2021)

[119]იუნისეფ საქართველო ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/საქართველო-უერთდება-ბავშვთა-მიმართ-ძალადობის-დაძლევის-გლობალურ-ქსელს (09/01/2021)

[120] სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკის ფუნქციები და სტატუსის, კვლევა, 2017 წელი, გვ.8.

[121] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ.334.
ვებ-გვერდი: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468 (09/01/2021)

სახლხო დამცველის ანგარიშში ასახულია, რომ კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისგან დაცვის კუთხით ეფექტიანი ღონისძიებები გატარება, დროული რეაგირება და მსხვერპლი არასრულწლოვნის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული, სავარაუდო სექსუალური ძალადობის 262 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში მოსწავლეთა შორის შესაძლო ძალადობის 1134 შემთხვევა დაფიქსირდა. 259 ფაქტზე სკოლის თანამშრომლების მხრიდან მოსწავლის მიმართ შესაძო ძალადობის ფაქტზე დაიწყო დისციპლინური წარმოება. სკოლების მიერ 198 შემთხვევაზე განხორციელდა რეფერირების პროცედურა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, 461 შემთხვევაზე განხორციელდა რეფერირების პროცედურა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან. 2019 წელს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში 3434 არასრულწლოვნის ახალი შემთხვევა გადამისამართდა. 2019 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე 3881 მიმართვა განხორციელდა. თუმცა როგორც სახალხო დამცველის კვლევაშია აღნიშნული, ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რებილიტაციის სერვისი. ხშირად სათანადო ფსიქოლოგიური მხარდაჭერაც ვერ ხორციელდება.[122]

გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადებით, ქვეყანაში ფსიქო-სოციალური პრაგორმების და სათანადო მომსახურებების ნაკლებობა, როგორც სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის ასევე ზოგადად ძალადობის მსხვერპლთათვის აფერხებს ბავშვების სათანადო განვითარებასა და რეაბილიტაციას. მნიშვნელოვანია რომ ქვეყანაში

[122] იქვე: გვ.336. გვ.335. გვ.337.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის განხორციელდეს სარეაბილიტაციო პროგრამების გაფართოება.[123]

განსაკუთრებით მწვავე პრობელმას სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ძალადობაგანცდილი არასრულწლოვნების რეაბილიტაციის და ხელახალი ძალადობისგან მათი დაცვის საკითხი. როგორც სახალხო დამცველის 2019 წლის ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგშია ასახული, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ტრამვული გამოცდილების მქონე არასრულწლოვანთა, ძალადობრივი ქცევის პოზიტიური მეთოდებით მართვა და მათი სათანადო ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია არ ხორციელდება. ასევე აღნიშნულია რომ ძალადობის განსაკუთრებულ მწვავე შემთხვევებშიც კი ვერ ხორციელდება შემთხვევის მულტიდისციპლინარული მართვა და შესაბამისი პროფესიონალების დროული ჩარევა. ბავშვზე ზრუნვის პროცესში განსაკუთრებული პასუხიმგებლობა ეკისრებათ სოციალურ მუშაკებს, განსაკუთრებით სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნების ძალადობის ფაქტებზე რეაგირების და ზედამხედველობის მიმართულებით. თუმცა ადამიანური და ფინანსური რესურსის მწვავე დეფიციტის გამო, საქართველოში სოციალურ მუშაკთა საქმიანობა არ არის სისტემატიური და შესაბამისად ეფექტიანი.[124]

აღნიშნული მიმართულებით საქართველოს შეუძლია ბავშვთა დაცვის სისტემის „კარგი პრაქტიკის მქონე“ ქვეყნების გამოცდილება გაიზიაროს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი პროფესიონალთა სპეციალიზაციას და სისტემატურ პროფესიულ სუპერვიზიას უკავია. განსაკუთრებით საყურადღებია ბავშვზე ძალადობის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტების უწყვეტი განათლებით უზრუნველყოფის საკითხი.

მაგალითად, ავსტრალია, რომლის კეთილდღეობის სისტემაც „ლიბერალურ“ სახელმწიფო სისტემად მიიჩნება, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა ფინანსდება მთავრობიდან, სადაც მკაცრადაა

---

[123] იუნისეფ საქართველო ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka/პრეს-რელიზები/ბავშვთა-დაცვის-დღეს-გაეროს-ბავშვთა-ფონდი-მოუწოდებს-შეიქმნას-სარეაბილიტაციო (09/01/2021)

[124] სახალხო დამცველის ანგარიში, ბავშვზვე ზრუნვის სისტემის მონიტროინგი-ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, 2019 წელი, გვ.36-37

გამიჯნული ერთმანეთისგან ზრდასრული პირების და ბავშვთა დაცვის პროგრამები. სოციალური მომსახურების პროგრამები მთავრობის მიერ შემუშავებული სამუშაო პრინციპებით და ფუნდამენტური თეორიების, ასევე პრაქტიკის პროცედურების, ინსტრუმენტების შესაბამისად რეგულირდება.[125]

სოციალური სერვისები გამიჯნულია ზრდასრული და არასრულწლოვანი ბენეფიციარებისთვის. საქმიანობის შესაბამისად გამიჯნულია ერთმანეთისგან სოციალური მუშაკის კომპეტენციები. ბავშთა ძალადობისგან დაცვის მიმართულებით მუშაობა მხოლოდ ლიცენზირებულ და აკადემიური ხარისხის მქონე „უფროს სოციალურ მუშაკს“ შეუძლია, რომელიც შემთხვევის მმართველს წარმოადგენს. ე.წ. „პროფესიული ოფიცერი“ ჩართულია ოჯახზე დაფუძნებულ ზრუნვის სერვისში და მისი აკადემიური კვალიფიკაცია შეიძლება სოციალური მუშაობა იყოს.[126]

განსაკუთრებით საინტერესოა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, ლიეტუაში 2015 წლიდან დღემდე მინდინარეობს ბავშვთა დაცვის რეფორმა, რომელიც რისკებზე ორიენტირებულ სისტემად ითვლება.[127]

„სახელმწიფო ბავშვის უფლებათა დაცვისა და შვილად აყვანის სამსახური“ და „ინსტიტუციური ზრუნვის ცენტრი“ ლიეტუვაში სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, სადაც მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისგან სოციალური მუშაკის როლები, სოციალური მომსახურებების შესაბამისად. ასევე „ინსტიტუციური ზრუნვის ცენტრი“ განსაზღვრავს სოციალური მუშაკის ლიცენზირების, უწყვეტი განათლებისა და პრაქტიკის წესებს.[128]

ლიეტუვას კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრავს სოციალური სერვისების ტიპს, პირობებს და ერთიან სისტემაში წარმოადგენს. ასევე, აღნიშნული კანონი განსაზღვრავ სოციალური მუშაობის სფეროს განვითარების პოლიტიკას. სოციალური მუშაკის და ასისტენტი სოციალური მუშაკის პროფესიულ როლს და ფუნქციებს. უმაღლესი განათლების მქონე სოციალურ მუშაკი, უფლებამოსილია დასაქმდეს სოციალური მუშაკის პოზიციაზე, თუმცა კანონი მას ავალდებულებს ყოველწლიურად 16 აკადემიური საათი პროფესიული კომპეტენციის გასაუმჯობესებლად, გაიაროს და მისი კვალიფიკაციაც ფასდება პერიოდულად.

---

[125] Australian Government, Department of Social Servicies (2020) Department of Social Services Annual Report 2019-2020, Retrieved from https://www.dss.gov.au/sites/default/files/documents/10_2020/01720_dss_ar_2020.pdf

[126] GOVERNMENT OF SOUTH AUSTRALIA ხელმისაწვდომია:https://www.childprotection.sa.gov.au/work-with-us/careers-in-child-protection/social-workers-case-managers (23/01/2021)

[127] Gilbert, N., Parton, N., Skivenes, M. (Eds.), 2011. Child Protection Systems. Oxford University Press, New York.

[128] Ministry of Social Security and Labour, Agencies under the Ministry. Retrieved ხელმისაწვდომია: https://socmin.lrv.lt/en/ (23/01/2021)

ლიეტუვას სახელმწიფო სისტემაში სოციალური მუშაობა ნიშნავს ბენეფიციარის და ოჯახის მხარდაჭერას, რათა გადაჭრილს იქნას სოციალური პრობლემები, მათი ღირსების შელახვის გარეშე. სოციალური მუშაკი სოციალური მომსახურების დაწესებულების თანამშრომელია, რომლის საქმიანობა მომსახურების მიზნის შესაბამისად ხორციელდება. მუნიციპალიტეტის უწყებაში არსებული განყოფილების რეფერირების წესის შესაბამისად ხდება სოციალური მუშაკის ჩართვა, იმის მიხედვით თუ რა ტიპის დახმარებისთვის ხდება მიმართვა ან რა სახის სოციალური მომსახურების მომსახურების მიწოდებაა საჭირო კონკრეტულ შემთხვევებში. სოციალური მუშაკის რეკომენდაციის საფუძველზე ხდება სოციალური მომსახურების მირების გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის მიერ.

ბავშვთა უფლებების დაცვის და შვილად აყვანის მომსახურების ფუქნციებში შედის:

- ინსტიტუციური ზრუნვის შემცირების პროექტი;
- ბავშვთა დაცვა;
- საოჯახო დავები;
- პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- შვილად აყვანა და მინდობითი აღზრდა.

შემთხვევის მართვის და მობილური ჯგუფის მუშაობის მიდგომით მუშაობს ბავშვის ძალადობისგან დაცვის სისტემა, სადაც განსაზღვრულია ბავშვთა უფლებათა დაცვის სპეციალისთის, შემთხვევის მმართველის და მობილური ჯგუფში ჩართული სპეციალისტების საქმიანობა და ფუნქცია განსაზღვრულია ბავშვის უსაფრთხოების მდგომარეობის შესაბამისად.[129]

2.2. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა და სამართლებრივი რეგულაციები

სოციალური მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ დამუკიდებელი პროფესიაა ექვემდებარება ზედამხედველობას, ვინაიდან მნიშვნელოვანია მისი როლი ბენეფიციარებისა და ზოგადად საზოგადოების წინაშე. „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა სოციალური მუშაობის ზედამხედველობის საკანონმდებლო ფარგლები. იგი ადგენს

[129] Ministry of Social Security and Labour, Agencies under the Ministry. Retrieved ხელმისაწვდომია: https://socmin.lrv.lt/en/news/government-has-agreed-to-amendment-of-laws-to-make-it-possible-to-remove-children-from-parents-only-in-extreme-cases-diagram-chart-and-statistics-inside (24/01/2021)

სოციალური მუშაკის კონტროლის ინსტრუმენტებს და არა მის საქმიანობაში ჩარევის მექანიზმს.[130]

სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა პროფესიის განუყოფელი ნაწილია. სოციალური მუშაკის პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის, მის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური საქმიანობის ზედამხედველობა. ორი კომპონენტისგან შედგება სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა. ესენია: სოციალური მუშაკის თვითშეფასება და შრომის ზედამხედველობა.[131]

სოციალური მუშაკის თვითშეფასება გულისხმობს, სოციალური მუშაობისას ჩატარებული თითოეული გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების გადახედვას. მნიშნელოვანია რომ სოციალური მუშაკის თვითშეფასება განხორციელდეს ობიექტურად, აღნიშნულ იქნას როგორც წინსვლასთან ერთად საქმეში არსებული ხარვეზები, ასევე გეგმის მიღმა განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება. სოციალური მუშაკი უწყებას უნდა სთავაზობდეს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის განვითარების გეგმას.[132] სოციალური მუშაკის შრომის ზედამხედველობა გულისხმობს, საქმიანობის ზედამხედველობას რომლის მიზანია სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული ქმედებების მიზნობრიობას და კანონიერების მონიტორინგს. ზედამხედველობის პროცესი ხორციელდება როგორც კონკრეტული საქმეების შესწავლით, ასევე საქმიანობის წლიური ანგარიშის შეფასებით იმ საჯარო დაწესებულების მიერ ვისაც ექვემდებარება თავად სოციალური მუშაკი.[133] ობიექტური ზედამხედველობის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია რომ ყველა გარემოება იქნას

---

[130] ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო გვ.198

[131] იქვე: გვ.199.

[132] საქართველოს კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ“, 2018 წლის 13. ივნისი მუხლი IX.

[133] ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი . სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო გვ.199.

შეფასებული. მათ შორის სოციალური სამუშაოს შედეგები, ბენეფიციარის მოსაზრება, ასევე ხელმძღვანელი მიერ სოციალური მუშაკი მიერ განხორციელებელი მომსახურების ხარისხი. სოციალური მუშაკის საქმიანობის ზედამხედველობა ხორციელდება როგორც დამსაქმებელი უწყების სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელის, ან ასევე სპეციალურად მოწვეული პირის მიერ, რომელსაც ასეთი ფუნქცია პირდაპირ ექნება დაკისრებული. სოციალური მუშაკის საქმიანობის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება. აღნიშნულ ზომებს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს. ხოლო დისწიპლინური პასუხსიმგებლობის პროცედურები და პრინციპები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებდა. დისციპლინური წარმოების მიზანია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფი გამოვლენა და დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.[134]

სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული დისციპლინური გადაცდმობა შეიძლება იყოს ორგვარი. ესენია:[135]

მსუბუქი დისიპლინური გადაცდომა გულისხმობს:

- სამსახურეობრივ მოვალეობათა გაუფრთხილებლობით და/ან განზრახ შეუსრულებლობას, რომელშიც მოიაზრება ყოველგვარი ქმდება, რომელიც უკავშირდება სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობას, იქნება ეს რაიმე ქმედება თუ უმოქმედობა. თუ სოციალური მუშაკი არ შეასრულებს მისთვის სამართლებირვი აქტით დაკისრებულ მოვალეობას, მიუხედავად სუბიექტური დამოკიდებულებისა, იგი ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.
- საჯარო დაწესებულების ქონების დაზიანება ან ასეთის ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა, წარმოადგენს სოციალური მუაშაკის დისციპლინურ გადაცდომას.[136]

[134] იქვე: გვ.200-203.
[135] იქვე: გვ. 204-205.

- საჯარო დაწესებულების დისკრიმინაციისკენ მიმართული, ქცევის ზოგადი წესების უგულებელოფა და/ან ეთიკის ნორმების დარღვევა, მიუხედავად იმისა ეს სამსახურში ჩაიდინა თუ მის გარეთ.

მძიმედ ჩაითვლება დისციპლინური გადაცდომა თუ:

- სოციალურმა მუშაკმა გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც ამ პირის მომავალში სამსახურეობრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას გამორიცხავს.
- მის შედეგად საჯარო დაწესებულების რეპუტაციას მიადგა ზიანი;
- მის შედეგად საჯარო დაწესებულებას მიადგა მატერიალური ზიანი;
- მის შედეგად საჯარო დაწესებულების სხვა მოხელეებს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს მიადგა ზიანი;
- კანონდმებლობით გათვალისწინებულ შეფასებაზე განაცხადა უარი;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე სოციალურმა მუშაკმა ჩაიდინა ახალი დისციპლინარული გადაცდომა.[137]

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:[138]

- გაფრთხლება;
- საყვედური;
- თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე;
- სამსახურიდან გათავისუფლება.

---

[136] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, რედ. ე.ქარდავა, თბილისი 2018, გვ.284-285.

[137] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მუხლი 85. ნაწ3.

[138] საქართველოს კანონი“ სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხლი 63.

დისციპლინური პასუხსიმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ის დაწესებულება, სადაც არის დასაქმებული სოციალური მუშაკი.[139]

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის (დანართი) ანალიზიდან დგინდება, რომ სოციალური მუშაკების დამოკიდებულება შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. გამოკითხულთა 42% მიიჩნევს, რომ მათი საქმიანობის ზედამხედველობა სისტემატურად ხორციელდება, 30%-ის ინფორმაცით იშვიათად ხორციელდება, 12% თვლის, რომ არასდროს, დანარჩენი გამოკითხულები კი აღნიშნავენ, რომ ზედამხედველობას ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და ის მხოლოდ უფროსი სოციალური მუშაკის მიერ ხორციელდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ეტაპზე არ არსებობს სოციალურ მუშაკთა საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების ოფიციალური მექანიზმი.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების თანახმად, სსიპ-ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს აკისრია ვალდებულება 2025 წლის 1 იანვრამდე აღნიშნული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სოციალური მუშაკების სამუშაო და დასვენების დროის, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებულის და ანაზღაურების წესის განსაზღვრა, ასევე განისაზღვროს სოციალურ მუშაკთა შესასრულებელ საქმეთა რაოდენობა, რომელიც შემთხვევის სირთულის გათვალისწინებით 50-ს არ უნდა აღეამტებოდეს. გადამავალი დებულების თანახმად ასევე 2025 წლის 1 იანვრამდე დამსაქმებელმა უნდა განსაზღვროს სოციალურ მუშაკთა საქმიანობის ზედამხედველობის წესი და პირობები.[140]

---

[139]სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო ს.კილაძე, ა.ფირცხალაშვილი გვ.205.

[140] საქართველოს კანონი “სოციალური მუშაობის შესახებ“, მუხლი 47.თავი X, მუხლი 63. ნაწ7.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სოციალური მუშაკების სამუშაო პროცესში იმ მთავარი მოვლენების და გამოწვევების ანალიზს, რაც ხელს უშლის სოციალურ მუშაკებს ბავშვთა დაცვის მიმართულებით მუშაობისას. სოციალური მუშაობა ის უმნიშვნელოვანესი პროფესიაა, რომლის განვითარებაც არსებითადაა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე. დღეისათვის კი ეს პროფესია რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სათანადოდ ვერ ასრულებს ბავშვთა დაცვის ფუნქციას, გამართული სოციალური მუშაობის ეფექტურობისათვის მნიშვნელვანია არსებული პრობლემების შესწავლა და გადასაჭრელად ეფექტური გზების ძიება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ გარდამავალ ეტაპზეა, ხშირ შემთხვევაში სოციალური მუშაკების სამუშაო პირობები, დატვირთვა და კომპეტენციები არაა შესაბამისობაში საკანონმდებლო სტანდარტებთან.

ნაშრომში აღნიშნულ საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშში, ასევე არასამთარობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს ქვეყანაში მეურვეობისა და მზრუნველობის საქმიანობა რამდენად არაეფექტინია. ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა დაცვას და გაძლიერებას. სისტემაში არსებული კრიზისის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა 2019 წელს სოციალურ მუშაკთა გაფიცვა, რომელმაც საზოგადოების და მთავრობის ყურადღება მიიპყრო.

სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული კვლევის ანალიზის შედეგად რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ დადებით მოვლენად იქნა შეფასებული, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რეორგანიზაციის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს უფლება-მოსილების სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის გადაცემა, სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვა და არსებითი პრობლემები კვლავ უცვლელი დარჩა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომ სპეციალისტთა აზრით, ბავშვზე ზრუნვის პრევენციული პროგრამების განვითარებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. სწორედ პრევენციული პროგრამები ეხმარება ოჯახს გაძლიერებაში, ხელს უწყობს ბავშვის უსაფრთხო გარემოში განვითარებას. ამ დროს სახელმწიფოს თავიდანვე უდევს ბავშვის „პულსზე ხელი“ და თუ სათანადოდ ვერ იმუშავა პრევენციამ, არასრულწლოვნის დროული გარიდება ხდება ძალადობრივი გარემოდან. რის შემდგომაც მნიშვნელოვანია სათანადო სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდება, რაც სამწუხაროდ დღეს ჩვენს ქვეყანაში, სათანადოდ, არ ხორციელდება. წარმოუდგენელია მომსახურების ხარისხზე საუბარი, როდესაც მილიონიანზე დიდ ქალაქს, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს ერთი ფსიქოლოგი ემსახურება, სოციალური მუშაკები კი წელიწადში 200-ზე მეტ შემთხვევაზე მუშაობენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რომ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, მეურვეობა-მზრუნველობის და სოციალური დაცვის დეპარტამენტში, ორი სამმართველოს ჩამოყალიბება იგეგმება. კერძოდ, მოხდება სოციალურ მუშაკთა ორ ძირითად მიმართულებად გაყოფა. რაც გულისხმობს, ბავშვზე ზრუნვის და დაცვის სამმართველოს, ასევე მხარდაჭერის, გენდერული საკითხების, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების სამმართველოს შექმნას.

აღნიშნული რეფორმა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მრავალი მიმართულების ნაცვლად, შედარებით დავიწროვდება სამიზნე ჯგუფები, რაც გარკვეულწილად გააუმჯობესებს სოციალური სამუშაოს შესრულების ხარისხს. თუმცა, რეფორმა რეალური შედეგის მომცემი მხოლოდ მაშინ იქნება თუ სოციალურ მუშაკთა სპეციალიზაცია განხორციელდება.

ბავშვთა დაცვის სისტემის მთავარი იდეოლოგია მდგომარეობს ადრეულ ჩარევაში. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტური ინტერვენციის სისტემის დანერგვა, რათა მოხდეს ბავშვთა დაცვა არასათანადო მოპყრობისა და ძალადობისგან. ქვეყანაში ოპტიმალური სისტემის არსებობა ერთი მხრივ ეხმარება კრიზისში მყოფ ოჯახს რათა რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სავალალო შედეგების არიდება მოხდეს, მეორეს მხრივ, განხორციელდეს თანმიმდევრული ჩარევები მათთვის ვისაც უკვე ესაჭიროება დაცვა.

სოციალური აქტივიზმის კარგი მაგალითი იყო სოციალურ მუშაკთა პროტესტის ტალღა (გაფიცვა)[141], რის შემდგომაც როგორც ნაშრომშია ასახული, გარკვეულწილად აქტუალური საკითხი გახდა სისტემაში არსებული პრობლემები. თუმცა პროფესიონალებს გაფიცვა არ უნდა სჭირდებოდეთ რათა დამსაქმებელს მიაწვდინონ ხმა.

საქართველოში აღნიშნული ეფექტური სისტემის შექმნა შესაძლებელი იქნება, როდესაც განხორციელდება საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და სახელმწიფო სათანადო ნებას გამოხატავს ბავშვთა დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად. ამისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სოციალურ მუშაკთა როლის გაძლიერება. ამ ეტაპზე კი სოციალური მუშაკები ძირითადად მხოლოდ მიკრო დონეზე მუშაობენ და ვერ ხორციელდება სოციალური პოლიტიკის ფორმირების პროცეში მათი ჩართვა.

[141] იხილეთ: 1.2. სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები გვ.17.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. „სოციალური მუშობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია“, GASW. 2017 წელი
2. კონცენცია ბავშვის უფლებების შესახებ https://www.matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
3. UNICEF (იუნისეფი საქართველოში) https://www.unicef.org/georgia/ka/ბავშვის-უფლებათა-კონვენცია (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
4. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი(OHCHR) https://www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/8ConventionontheRightsoftheChild(1989).aspx (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
5. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე, საქართველოს მთავრობა (2007-2013 წლების ანგარიში) http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
6. „ობოლდ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა“ თბილისი. 2007წელი http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1193232810_programa%2032.07.05.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
7. საქართველოს კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“1999წელი, (ძალის დაკარგვის თარიღი 27/12/2007) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
8. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ http://tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/498963503135.pdf
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N118/ნ, ქ.თბილისი. 2009წლის 23 მარტი
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება N75 ქ.თბილისი. 2005 წლის 21 აპრილი https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1052319?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
11. ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 სამოქმედო გეგმა http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1002 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/02/2021)
12. საქართველოს პარლამენტი http://www.parliament.ge/ge/saparlamento-

saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/parlamentis-adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komitetma-2014-weli-bavshvta-uflebebis-dacvis-wlad-gamoacxada.page (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03/02/2021)

13. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში 2014 წელი
14. ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი „ბავშვის ხმა რომელიც სახელმწიფომდე არ აღწევს-ბავშვზე ზრუნვის ჩრდილოვანი სისტემა საქართველოში“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ თბილისი, 2016 წელი
15. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. „სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი“ საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2011, https://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW_Situational_Analysis_Report_Georgia_GASW_GEO_29_11_2011_F.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03/02/2021)
16. საქართველოს კანონი „ობოლ და მშობლეთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“ 1999წელი(ძალის დაკარგვის თარიღი:27/12/2007) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16234?publication=4 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03/02/2021)
17. “სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999წლის N371 ბრძანება ,მუხლი14.(ძალადაკარგულია 14/11/2000)
18. “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური წოდებების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის N66 ბრძანება(ძალადაკარგულია08/04/2004)
19. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის N418 ბრაძანება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“
20. სპეციალური პენიტენციური სამსახური http://www.sps.gov.ge/ka/saqmianoba/resocializacia-reabilitacia.html (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03/02/2021)
21. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის კანონის მე-17 მუხლი (ძალადაკარგულია 2007 წლის 17 ივნისიდან).
22. „მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „მომავლის სახლის” დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

განათლების მინისტრის 2000 წლის 26 ივნისის №430 ბრძანება (ძალადაკარგულია 2008 წლის 07 აპრილიდან)
23. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 საპყრობილეში საჯარო მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის №1792 ბრძანება (ძალადაკარგულია 2011 წლის 22 თებერვლიდან).
24. საქართველოს კანონი “სოციალური დახმარების შესახებ“ N4289 2006 წელი 29 დეკემბერი.
25. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatlebis.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 03/02/2021)
26. თბილისის ი.ჯავახიშვლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/socmushaoba%20%20PhD.%202019.pdf
27. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ N2944 https://matsne.gov.ge/ka/document/view/26152 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 06/02/2021)
28. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი 2013 წელი.
29. სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=675 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 06/02/2021)
30. სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია, საქართველოს სოცალურ მუშაკთა ასოციაცია, სამუშაო ვერსია, თბილისი, 2017 წელი
31. იუნისეფი საქართველო https://www.unicef.org/georgia/ka/მართლმსაჯულება-ბავშვებისთვის (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 06/02/2021)
32. საქართველოს კანონის “სოციალური მუშაობის შესახებ“ 2018 წელი 13 ივნისი
33. სოციალურ მუშაკთა გაერთიანება-დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი https://www.swunion.ge/?page_id=8 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
34. N.Partskhaladze, Child Protection Social Work Workforce in Georgia and Countries of CEE/CIS Region, Journal of Young Researchers, No. 5, July, 2017

35. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი,EMC.2017 წელი.
36. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 მარტის N04/14006 კორესპონდენცია, სოციალური მუშაკის სამუშაოს აღწერილობა, დანართი N3
37. სოციოლოგიური კვლევა, სოციალური სამუშაო, სოციალური მუშაკების ფუნქციები და სტატუსები, დემოკრატიის განვითარების სააგენტო, 2017 წელი https://ddaagencyblog.files.wordpress.com/2017/10/fes_analysis_.pdf
38. კვლევის ანგარიში, რეკომენდაციები მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ცენტრი (CSDC) 2018წელი,
39. ჟურნალი ტაბულა. http://www.tabula.ge/ge/story/146680-socialuri-mushakebi-gaficvas-tskveten(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021
40. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, https://emc.org.ge/ka/products/emc-sotsialur-mushakebs-mkhardacheras-utskhadebs (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
41. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/29726708.html?fbclid=IwAR1LXqHxVvG8VnwncZ8EVQEEX5QvloGkyU4f8Qoj13nm006Cup88-f6dPc4 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
42. საქართველოს სახალხო დამცველი https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-nino-lomjaria-sotsialur-mushakebs-shekhvda (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
43. საქართველოს პარლამენტი http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/parlamentis-wevrebma-socialuri-mushakebis-gaficvis-sakitxze-brifingi-gamartes.page (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
44. საქართველოს მთავრობა http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=520&info_id=70877 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
45. საქართველოს მთავრობის დადგენილება N58 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4784324?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
46. ინტერნეტპრესნიუსი ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/584013-socialuri-momsaxurebis-saagentos-punkciebis-nacili-saxelmcipo-zrunvisa-da-trepikingis-msxverplta-dazaralebulta-daxmarebis-saagentos-gadaeca/(უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)

47. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხერპლთა, დაზარალებულთა დახმარების დირექტორის ბრძანება N07-40/ო http://atipfund.gov.ge/res/docs/brzaneba_07-40-o_25_03_2020.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
48. სოციალური მუშობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის აღსრულების შეფასება, ალტერნატიული ანგარიში, სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, 2020 წელი https://drive.google.com/file/d/12peFLKnBiW0q873szGXlSXsnhVTOIuaa/view (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
49. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020წლებისთვის) დამტკიცების შესახებ
50. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახლემწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4762869?publication=0
51. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო http://ssa.gov.ge/?lang_id=GEO
52. ღია საზოგადოების ფონდი https://osgf.ge/voice/deinstitucionalizacia-b/ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
53. ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, მომზადებულია მეგი ნიკოლსონის მიერ, http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8512ReportonimplementationHumanRightsStrategyGEOEWMIUNDP.PDF (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
54. ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების სახელმძღვანელო,"ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" https://www.sos-childrensvillages.org/getmedia/9f86c1c4-8048-462f-962a-fc7beb5f41ca/UN-Guidelines-Georgian.pdf?ext=.pdf
55. მთავრობის დადგენილება N437 ,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების შესახებ 2016 წელი, 12 სექტემბერი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0
56. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი"
57. სოციალური მუშაობის სპეციალიზაცია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სამუშაო ვერსია, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2020 წელი

58. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136000/1-5468 (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
59. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი- ალტერნატიული ზრუნვის ეფექტურობა, თბილისი 2019 წელი
60. ბავშვთა რეინტეგრაციის საკითხების სახელმძღვანელო პრინციპები, უწყებათშორისი ჯგუფი https://www.sos-childrensvillages.ge/assets/img/uploads/publications/_geo.PDF
61. მ.მგელიაშვილი, ს.ნამიჭეიშვილი, სახელმძღვანელო ბავშვება და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის, 2010 წელი, თბილისი
62. საქართველოს პროკურატურა http://pog.gov.ge/page/trefikingis-winaaRmdeg-brZola (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
63. საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31მაისის ერთობლივი ბრძანება N152/ნ-N496-N45/ნ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ
64. Australian Government, Department of Social Servicies (2020) Department of Social Services Annual Report 2019-2020 https://www.dss.gov.au/sites/default/files/documents/10_2020/01720_dss_ar_2020.pdf
65. Government of South Australia https://www.childprotection.sa.gov.au/work-with-us/careers-in-child-protection/social-workers-case-managers (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07/02/2021)
66. Gilbert, N., Parton, N., Skivenes, M. (Eds.), 2011. Child Protection Systems. Oxford University Press, New York.
67. Ministry of Social Security and Labour, Agencies under the Ministry. Retrieved https://socmin.lrv.lt/en/ (უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 08/02/2021)
68. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, რედ. ე.ქარდავა, თბილისი 2018, გვ.284-285
69. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“

დანართი N1:

კითხვარი

1. თქვენი ასაკი:
   ა)20-30 წლამდე
   ბ)30-40 წლამდე
   გ)40-50 წლამდე
   დ) 50 +
2. თქვენი განათლება სოციალური მუშაობის მიმართულებით:
   ა)გავლილი გაქვთ სასერთიფიკატო კური
   ბ)ბაკალავრი
   გ)მაგისტრი
   დ) სხვა _____
3. რამდენ წლიანი სამუშაო გამოცდილება გაქვთ, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში, სოციალური მუშაკის პოზიციაზე მუშაობის:
   ა) 1 წლამდე
   ბ) 2-დან 5 წლამდე
   გ) 5-დან 10 წლამდე
   დ) 10 წელზე მეტი
4. თვის განმავლობაში საშუალოდ რამდენ შემთხვევაზე გიწევთ რეაგირება(მიმდინარე და ახალი შემთხვევები):
   ა) 20-დან 30 შემთხვევამდე;
   ბ) 30-დან 40 შემთხვევამდე;
   გ) 40-დან 50 შემთხვევამდე;
   დ) 50 შემთხვევაზე მეტი;
5. რამდენად ხშირად გიწევთ საკუთარი ხარჯებით სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება?
   არასდროს
   იშვიათად
   ხშირად
   ყოველთვის
6. როგორ ფიქრობთ, ზრუნავს თუ არა დამსაქმებელი თქვენს პროფესიულ განვითარებაზე:
   ა)დიახ
   ბ)არა
   გ)ნაწილობრივ
   დ)სხვა _____
7. ხორციელდება თუ არა თქვენი შესრულებული სამუშაოს პროფესიული ზედამხედველობა:
   ა)დიახ, სისტემატურად
   ბ) იშვიათად
   გ)არასდროს
   დ)მიჭირს პასუხის გაცემა
8. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს მიერ შესრულებული სამუშაო ხარისხით(ყველა ფაქტორის გათვალისწინებით) ბავშვის უფლებათა დაცვის მიმართულებით:
   ძალიან უკმაყოფილო
   უფრო უკმაყოფილო
   არც კმაყოფილი,არც უკმაყოფილო

უფრო კმაყოფილი
ძალიან კმაყოფილი

9. როგორ შეაფასებდით 10 ბალიან სკალაზე(სადაც 1 ყველაზე უარყოფითია 10 ყველაზე დადებითი) შრომითი პირობების გაუმჯობესების ხარისხს 2019-2020 წლების განმავლობაში:
   1 2 3 4 5 6 7 8 9 10
10. თქვენი შეფასებით, სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამებიდან, რომელი პრევენციული ან მხარდამჭერი პროგრამაა ეფექტიანი:
11. ჩამოთვლილთაგან ეფექტური მუშაობისთვის რა ცვლილებების განხორციელების აცულიებლობას ხედავთ:
    ა)ბავშვზე ზრუნვის პრევენციული პროგრამების განვითარება;
    ბ) სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობების გაუმჯობესება;
    გ) სოციალურ მუშაკთა დარგობრივი სპეციალიზაცია;
    დ) მიჭირს პასუხის გაცემა;

12. თქვენი სამუშაო პიზიცია? რამდენი წელია რაც სოციალური მუშაკად ხართ დასაქმებული?
13. თქვენი განათლება? პროფესიული გადამზადება თუ გაქვთ გავლილი?
14. როგორც ხედავთ სოციალური მუშაკის როლს ბავშვთა კეთილდღეობის პროცესში?
15. რამდენად გაქვს სამუშაოს სრულფასოვნად შესრულების საშუალება? რა გარემომებები გიქმნით პრობლემას? რა მიზეზ შედეგობრივ კავშირს ხედავთ ამაში?
16. როგორ ფიქრობთ რამდენად ეფეტურად ახდენთ ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პრევენციას, რამდენად სწრაფად და ადეკვატურად ხდება ძალადობის შემთხვევებზე რაგირება?
17. რა ცვლილებებს შეიტანდით სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისთვის? როგორია თვენი რეკომენდაციები.